



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ლაშა დემურაშვილი

**მსოფლიო ფინანსური კრიზისი და მისი გავლენა საერთაშორისო
კომპანიების საქმიანობაზე**

**საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამა**

**სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

**ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
ნიკოლოზ ნაცვლიშვილი**

თბილისი 2020 წელი

ანოტაცია

მსოფლიო ფინანსური კრიზისი და მისი გავლენა საერთაშორისო კომპანიებზე თანდათანობით აქტუალური ხდება გლობალურ დონეზე, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის არაერთი ასეთი კერა ახსოვს როგორც ძველ ასევე თანამედროვე ეპოქას არაერთმა ქვეყანამ გამოცდა აღნიშნული კრიზისის დამანგრეველი გავლენა კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური თუ ფინანსურ ზიანის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება მსოფლიო ფინანსურ კრიზისს მის გავლენას საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაზე განხილულია მსოფლიო ისტორიაში მომხდარი არაერთი ასეთი მწარე მაგალითი, რომელიც განხილულია და ჩამოლილია სხვადასხვა ქვეყნის, განვითარების დროის და ეტაპების მიხედვით.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის არსი მახასიათებლები და ძირითადი ეტაპები სადაც სრულადაა გადმოცემული კრიზისის განვითარების ხანგძლივობა ეპოქა და ყველა ძირითადი მახასიათებელი.

მეორე თავში განხილულია საერთაშორისო კომპანიების საქმიანობა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, მათი ქცევა, იმუნიტეტი და კრიზისის ზემოქმედებით გამოწვეული კომპანიებში შექნილი ვითარება.

მესამე თავში განხილულია XXI საუკუნის დასაწყისის ფინანსური კრიზისი, გამოცდილება და ანტიკრიზისული ღონისძიებები მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაძლევის კონცეპტუალური მიდგომები, ასევე განხილულია რა გავლენას ახდენს მსოფლიო ფინანსური კრიზისი საქართველოს ეკონომიკაზე და საქართველოში არსებულ მსხვილ კომპანიებზე.

დასკვნაში განხილულია და შეჯამებულია ყველა ეკონომიკური კრიზისის გავლენის შედეგები კომპანიებზე და განზოგადებულია რეკომენდაციები.

The world financial crisis and its impact on the performance of international companies

Annotation

The World Financial Crisis and its Impact on International Companies is Gradually Topical at the Global Level, Many of the World Economic Crisis Remembers Many of the countries of ancient and modern times have witnessed the devastating impact of this crisis in terms of economic or financial damage to a particular country.

The World Financial Crisis and its Impact on International Companies is Gradually Topical at the Global Level, Many of the World Economic Crisis Remembers Many of the countries of ancient and modern times have witnessed the devastating impact of this crisis in terms of economic or financial damage to a particular country.

The present paper deals with the global financial crisis and its impact on the performance of international companies.

The first chapter of the paper discusses the essence and the main stages of the world economic crisis, where the epoch and all the key features of the crisis are fully conveyed. The second chapter discusses the activities of international companies in the wake of the global financial crisis, their behavior, immunity and the crisis situation in companies affected by the crisis.

The third chapter discusses the financial crisis, experience and anti-crisis measures of the early 21st century, conceptual approaches to overcoming the global financial crisis, as well as the impact of the global financial crisis on the Georgian economy and large Georgian companies.

The report discusses and summarizes the effects of all economic crises on companies and generalizes the recommendations.

შინაარსი

ანოტაცია	2
შესავალი	5
თავი 1. კრიზისის მახასიათებლები და ძირითადი ეტაპები	7
1.1 ეკონომიკური კრიზისის სახეები	7
1.2 მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის არსი, წინამძღვრები და მიზეზები	17
1.3 საქართველო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წინა და შემდგომ პერიოდში	20
თავი 2. საერთაშორისო კომპანიების საქმიანობა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე	35
2.1 მსოფლიო მეურნეობა 2008-2012 წლების გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში	35
2.2 საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები	41
2.3 ბანკის ეფექტიანობის, მდგარლობისა და საიმედოობის საკითხები ფინანსური კრიზისის დროს	49
თავი 3. XXI საუკუნის დასაწყისის ფინანსური კრიზისი: გამოცდილება და ანტიკრიზისული ღონისძიებები	57
3.1 მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაძლევის კონცეპტუალური მიდგომები	57
3.2 მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაძლევის სტრატეგიები და პროგრამები	59
3.3 საქართველოს ეროვნული ბანკის როლი საფინანსო სისტემის სტაბილურობაში	70
დასკვნა	74
გამოყენებული ლიტერატურა	77

შესავალი

თემის აქტუალობა: ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, მიუხედავად გარკვეული „იდეური თანმთხვევისა“ XIX ს-ში არსებულ სიტუაციასთან, მკვეთრად განსხვავდება თავისი ბუნებითა და მოქმედების ფორმით მსოფლიოში აღრე არსებული ურთიერთობებისაგან: მიმდინარეობს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ინტენსიფიკაცია და იგი სულ უფრო კომპლექსურ ხასიათს იღებს. ეს უპირველესად ეხება კაპიტალის მობილურობის გაზრდას. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მისი გავლენა საერთაშორისო კომანიებზე არაერთხელ გამხდარა მსოფლიოს საკვლევი ობიექტი , თანამედროვე მსოფლიოს ახსოვს არაერთი მწარე მაგალითი რომელმაც დამანგრეველი და მყისიერი ძალით დარტყა ქვეყნის ეკონომიკას და მსოფლიოში მოქმედ საერთაშორისო არაერთ კომპანიას , ზოგიერთი გააქრო კიდევ.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სამაგისტრო კვლევის მიზანია შევისწავლოთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მისი გავლენა საერთაშორისო კომპანიებზე განვსაზვროთ კრიზისის განვითარების ფუნდამენტური მიზეზები , განვიხილოთ კრიზისის შედეგად დაზარალებული კომპანიების მაგალითები, ჩამოვაყალიბოთ თაქტორები რომელსაც შეუძლია აღნიშნული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნა დავსახოთ და წამოვაყენოთ რეკომენდაციები აღნიშნულის შესამცილებლად.

- მსოფლიოში წარმოქმნილი გლობალური ეკონომიკური კრიზისის არსი

- ეკონომიკური კრიზისის განვითარების ეტაპები
- ეკონომიკური კრიზისის გავლენის მასშტაბები საერთაშორისო კომპანიებზე
- კრიზისის დაძლევის მექანიზმები სხვადასხვა ქვეყნებისა თუ საერთაშორისო კომანიების მაგალითზე.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში განვითარებული ეკონომიკური კრიზისები რომელმაც გავლენა იქონიეს საერთაშორისო კომპანიებზე და ქვეყნის ეკონომიკაზე.

კვლევის საფუძვლები. კვლევის თეორიული საფუძველია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მისი გავლენა საერთაშორისო კომპანიებზე არსებული თეორიები, ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომები, სტატიები, კვლევები, სტატისტიკები და სტატიები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია დიალექტიკური მეთოდი, რომელიც იკვლევს პროცესებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. ნაშრომში ასევე გამოყენებულია: ინდუქციის, დედუქციის ახსნა-განმარტების, ანალიზის, შედარებითი ანალიზის, და სინთეზის მეთოდები.

კვლევის შედეგები. წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა:

- რა არის მსოფლიო ფინანსური კრიზისი
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს მსოფლიო კრიზისმა საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაზე და ქვეყნის ეკონომიკაზე, ფაქტორები გამომწვევი მიზეზები .
- რა ეტაპები შეიძლება გავლოს ფინანსურმა კრიზისმა და რა გავლენა შეიძლება იქონიოს საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაზე .

ნაშრომის სტრუქტურა. წარმოდგენილი სამსაგისტრო ნაშრომი შედგენა კომპიუტერზე ნაბეჭდი 79 გვერდისგან, ის მოიცავს შესავალს, სამ თავს, ცხრა ქვეთავს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

თავი 1. კრიზისის მახასიათებლები და ძირითადი ეტაპები

1.1 ეკონომიკური კრიზისის სახეები

XX საუკუნის შუა ხანებისათვის გაბატონებული იყო აზრი, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათი ძირეულად განსხვავდებოდა XIX საუკუნეში არსებული ანალოგიური ურთიერთობებისაგან. XIX საუკუნეში არსებობდა მტკიცე რწმენა, რომ ეკონომიკური განვითარებას მთავარ გარანტიას თავისუფალი ბაზარი წარმოადგენდა, რომელიც გარკვეულწილად დამოუკიდებელი იყო სახელმწიფო-საგან. მაგრამ ამ რწმენამ ვერ გაუძლო ვერც ორ მსოფლიო ომს და ვერც 1929 წლის ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც თვალსაჩინო გახადა ეკონომიკური ინტერნაციონალიზმის წარუმატებლობა და საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო ეკონომიკური რეორგანიზაციას, რომლის მთავარი აქტორი და მომწესრიგებელი სახელმწიფო გახდა. 1944 წლიდან კი, სწორედ ამ ახალ პრინციპზე დაყრდნობით, საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „ბრეტონ ვუდსის კონსენსუსს“ და ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას,

რომელიც ომის შემდგომი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველი გახდა.

ამ ხანებიდან დაწყებული სულ უფრო თვალსაჩინო გახდა სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლი ვაჭრობის, კრედიტების, შრომისა და პროდუქციის სფეროებში. ბაზრის რეგულაცია შეცვალა სახელმწიფო რეგულაციამ, კერძო ბანკებს ჩაენაცვლენ სახელმწიფო ბანკები და ა.შ. საერთაშორისო მასშტაბით, ეკონომიკური ურთიერთობები უპირველესად იყო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, და თუ კი მყარდებოდა ზოგიერთი ქვეყნის ჰეგემონია, ეს იყო არსებული პოლიტიკური წესრიგის ლოგიკური გაგრძელება: აუცილებელი იყო, რომ ძალთა ახალ გადანაწილებას შეექმნა საერთო წონასწორობის გარანტიები. ყოველივე ეს ზუსტად შეესაბამებოდა ეკონომიკური განვითარებისა და ჩამორჩენის დაძლევის ლოგიკას. მრავალი ინტელექტუალი ხაზს უსვამდა, რომ ამგვარი „მაკროეკონომიკური კაპიტალიზმი“ წარმოადგენდა მისი წინამავალი „მიკროეკონომიკური კაპიტალიზმის“ პირმშოს.

1945 წლის შემდეგ სწორედ დასავლური სახელმწიფოების პოლიტიკური ნებით მოხდა ეკონომიკური ურთიერთკავშირების განვითარების მიზნით მრავალმხრივი სისტემის ჩამოყალიბება. ბრეტონ ვუდსის სისტემის ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი) მასში ფუძემდებლურ როლს ასრულებენ. მათი ერთ-ერთი ამოცანაა 30-იანი წლების დესტაბილიზაციის მსგავსი შოკისაგან თავის არიდების მექანიზმების შექმნა, იმავდროულად კი მიღწეულ იქნა საერთაშორისო შეთანხმება საბაჟო ტარიფებსა და ვაჭრობაზე. ყოველივე ამან კი შემდგომისათვის სათანადო პირობები შექმნა და ინსტიტუციონალური ჩარჩოთი უზრუნველყო ვაჭრობის აღმავალი ლიბერალიზაცია. ინტერნაციონალიზაციის მოძრაობამ ახალი ძალა შეიძინა და მალე მსოფლიო კიდევ ერთი ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა.

თანდათანობით მოხდა საფინანსო ბაზრების ლიბერალიზაცია, ახალი ძალა შეიძინა თავისუფალმა ვაჭრობამ და საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს გაუჩნდა იმის ძალა,

რომ საკუთარი კანონები მოეხვია თავს პოლიტიკისათვის. თითქოს XIX საუკუნის ცივილიზაცია ფენიქსივით ფერფლიდან აღდგა, ბუნებრივია ახალი „სამოსით“. იმავდროულად დაიწყო რევოლუცია კომუნიკაციების სფეროში. წინ წამოიწია ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საშუალებით მშვიდობის მიღწევის ლიბერალურმა კრედომ. დაიწყო გაერთიანებათა პროცესი, რაც უპირველესად თვალსაჩინო იყო საბანკო სფეროში. ეკონომიკური გლობალიზაცია თანდათანობით უფრო გამოკვეთილ სახეს იღებდა.

ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი

ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, მიუხედავად გარკვეული „იდეური თანმთხვევისა“ XIX ს-ში არსებულ სიტუაციასთან, მკვეთრად განსხვავდება თავისი ბუნებითა და მოქმედების ფორმით მსოფლიოში ადრე არსებული ურთიერთობებისაგან: მიმდინარეობს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ინტენსიფიკაცია და იგი სულ უფრო კომპლექსურ ხასიათს იღებს. ეს უპირველესად ეხება კაპიტალის მობილურობის გაზრდას.

80-იანი წლებიდან იწყება ფართო გარღვევა მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით, რაც გამოიხატა ეკონომიკაზე სახელმწიფოს „ზრუნვის“ შემცირებით, კერძო მენარმეობისათვის უფრო მეტი თავისუფლების მიცემით ქვეყნის შიგნით და პროტექციონიზმზე უარის თქმით უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობებში, რაც მართალია არ გამოორიცხავს სახელმწიფოს დახმარებას მსოფლიო ბაზარზე გასვლისათვის. უპირველესად სწორედ ამ ფაქტორებმა გამოიწვია მთელი რიგი ქვეყნების - სინგაპურის, ჰონკონგის, ტაივანის, სამხრეთ კორეის ეკონომიკების არნახულად სწრაფი განვითარების ტემპები. თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ 90-იანი წლების მიწრულს ამ ქვეყნებში მეტად საგრძნობი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო.

კრიზისი, რომელშიც მოხვდა სამხრეთ-აზიის ზოგიერთი ქვეყანა, მრავალი ეკონომისტის თვალსაზრისით, იყო მათი ეკონომიკების „გადახურების“ შედეგი, მათი არნახული სისწრაფით განვითარება და იმავდროულად არქაული პოლიტიკური სტრუქტურების შენარჩუნება, რომლებიც ეკონომიკური ლიბერალიზაციის დეფორმაციას ახდენენ.

თურქეთში ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ამ ქვეყნის სწრაფ მოდერნიზაციას. 90-იანი წლების დასაწყისიდან ლიბერალიზაციის პროცესი შეეხო ლათინური ამერიკის ქვეყნებსაც - არგენტინას, ბრაზილიას, ჩილის, მექსიკას. მკაცრ სახელმწიფო დაგეგმარებაზე უარის თქვამ, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებამ, მსხვილი ბანკებისა და სახელმწიფო დაწესებულებების პრივატიზაციამ, საბაჟო ტარიფების შემცირებამ, მათ შეაძლებინა მკვეთრად გაეზარდათ ეკონომიკური ზრდის ტემპები და ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე გასულიყვნენ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების შემდეგ. იმავდროულად ანალოგიური რეფორმები, თუმცა გაცილებით ნაკლებად რადიკალური სახის, გზას იკვლევენ ინდოეთში. 90-იანი წლებიდან ნაყოფს იმკის ჩინეთის ეკონომიკის მსოფლიოსათვის გახსნა.

ამ პროცესების ლოგიკური შედეგი გახდა ნაციონალურ ეკონომიკათა საერთაშორისო ურთიერთქმედების მკვეთრი აქტივიზაცია. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპები აღემატება შიდაეკონომიკური ზრდის მსოფლიო ტემპებს. დღეს მსოფლიო საერთო პროდუქტის 15%-ზე მეტის რეალიზაცია ხდება უცხოურ ბაზრებზე. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა მსოფლიო თანამეგობრობის კეთილდღეობის ზრდის სერიოზული და უნივერსალური ფაქტორი გახდა. 1994 წ. GATT-ის ურუგვაის რაუნდით გათვალისწინებულია ტარიფების შემდგომი არსებითი შემცირება და ვაჭრობის ლიბერალიზაციის განვრცობა მომსახურების სფეროებში. GATT -ის გარდაქმნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად ნიშნავს საერთაშორისო ვაჭრობის გასვლას თვისობრივად ახალ მიჯნაზე, მსოფლიო მეურნეობის ურთიერთდამოკიდებულების გაზრდას.

უკანასკნელ ათწლეულში იმავე მიმართულებით ვითარდება ფინანსური კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის მეტად გაძლიერებული პროცესი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა საერთაშორისო ინვესტიციების ნაკადის ინტენსიფიკაციით, რაც 1995 წლიდან უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ვაჭრობა და წარმოება. ეს გახდა მსოფლიოში საინვესტიციო კლიმატის მნიშვნელოვანი შეცვლის შედეგი. დემოკრატიზაციამ, პოლიტიკურმა სტაბილიზაციამ და ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ მრავალი რეგიონი მიმზიდველი გახდა ინვესტორებისათვის. მეორეს მხრივ, მოხდა ფსიქოლოგიური გარდატეხა მრავალ განვითარებად ქვეყანაში, რომლებმაც გააცნობიერეს, რომ უცხოური კაპიტალის მოზიდვა წარმოადგენს ტრამპლინს განვითარებისათვის, აიოლებს გასვლას მსოფლიო ბაზრებზე და ახალი ტექნოლოგიების მოპოვებას უწყობს ხელს. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავდა, აბსოლუტური ეკონომიკური სუვერენიტეტის ნაწილობრივ დათმობას და კონკურენციის გაზრდას მთელი რიგი ადგილობრივი დარგებისათვის. მაგრამ „აზიური ვეფხვებისა“ და ჩინეთის მაგალითმა უბიძგა განვითარებად ქვეყნებისა და გარდამავალი ეკონომიკების მქონე სახელმწიფოებს ჩართულიყვნენ შეჭიბრში ინვესტიციების მოსაზიდად. 90-იანი წლების შუა ხანებში უცხოური ინვესტიციების მოცულობამ გადააჭარბა 2 ტრილიონ დოლარს და კვლავაც სწრაფი ტემპით იზრდება. ორგანიზაციულად ამ ტენდენციას ამაგრებს საერთაშორისო ბანკების, საინვესტიციო ფონდებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების აქტიურობის თვალსაჩინო გაზრდა. ამგვარი პროცესის კიდევ ერთი წახნაგია ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მოღვაწეობის ველის არსებითი გაფართოება, რომლებიც დღეს აკონტროლებენ მთელი მსოფლიოს კერძო კომპანიების აქტივების დაახლოებით მესამედს და მათი პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა უახლოვდება აშშ-ის ეკონომიკის ერთიან პროდუქტს.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მთელი ამ ლიბერალიზაციის მიუხედავად, მაინც შენარჩუნებულია გარკვეული წინააღმდეგობები სახელმწიფოთა შორის, როგორც ამას მეტყველებს საკმაოდ ხშირი და ხისტი დავა აშშ-სა და იაპონიას შორის ვაჭრობის

დისბალანსის თაობაზე, ანდა აშშ-სა ვეროკავშირთან ამ უკანასკნელის მიერ სოფლის მეურნეობის სუბსიდირების შენარჩუნების გამო. მაგრამ ნათელია, რომ ამჟამად არსებული მსოფლიო ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების პირობებში, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია დაუპირისპიროს საკუთარი ეგოისტური ინტერესები მსოფლიო საზოგადოებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში მას ემუქრება მსოფლიო „გარიყულად“ გადაქცევა და ამის გარდა იგი დაარღვევს არსებულ სისტემას, რასაც სავალალო შედეგები ექნება არა მარტო მისი კონკურენტებისათვის, არამედ საკუთრივ ამ ქვეყნის ეკონომიკისთვისაც.

მსოფლიო ეკონომიკის სისტემის ინტერნაციონალიზაციისა და ურთიერთდამოკიდებულების გარღვევების პროცესი მიმდინარეობს ორ სიბრტყეზე - გლობალურსა და რეგიონული ინტეგრაციის სიბრტყეზე. თეორიულად, რეგიონულმა ინტეგრაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს რეგიონთაშორის მეტოქეობას. მაგრამ დღეს ეს საფრთხე შემოიფარგლება მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ზოგიერთი ახალი თვისებით. პირველ რიგში ახალი რეგიონული გაერთიანებების გახსნილობით - ისინი არ ქმნიან თავიანთ პერიფერიებზე დამატებით სატარიფო ბარიერებს, და პირიქით, ამცირებენ მის მონაწილეებს შორის ტარიფებს უფრო სწრაფად, ვიდრე ეს ხდება გლობალურად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩარჩოებში. ეს წარმოადგენს სტიმულს ბარიერების შემდგომი, უფრო რადიკალური შემცირებისა მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის რეგიონულ ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყანა რამდენიმე რეგიონულ დაჯგუფების წევრია. მაგალითად აშშ, კანადა და მექსიკა არიან როგორც ATES-ის, ისე NAFTA-ს წევრები. გარდა ამისა, ტრანსნაციონალურ კორპორაციათა უმრავლესობა ერთდროულად ფუნქციონირებს დღეს არსებულ ყველა ორბიტაში.

მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ახალი თვისებები - საბაზრო მეურნეობის უსწრაფესი ზრდა, ნაციონალურ ეკონომიკათა ლიბერალიზაცია და მათი ურთიერთქმედება

ვაჭრობისა და საერთაშორისო ინვესტიციების გზით, მსოფლიო ეკონომიკის სულ უფრო მეტი სუბიექტების - ტრანსნაციონალური კორპორაციების, ბანკების, საინვესტიციო ჯგუფების აღმავალი კოსმოპოლიტიზაცია - სერიოზულ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე. მსოფლიო ეკონომიკა ხდება იმდენად ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული, რომ ყველა მისი აქტიური მონაწილის ინტერესები მოითხოვს სტაბილურობის შენარჩუნებას არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო-პოლიტიკური კუთხითაც.

ზოგიერთი მკვლევარი, ეყრდნობა რა იმ ფაქტს, რომ XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ ეკონომიკათა ურთიერთკავშირის მაღალმა ხარისხმა ვერ უზრუნველყო პირველი მსოფლიო ომის თავიდან აცილება, ახდენს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონის და მისი მნიშვნელოვანი სეგმენტის კოსმოპოლიტიზაციის - მსოფლიო პოლიტიკაში ეკონომიკური და სამხედრო ფაქტორების შეფარდების რადიკალური შეცვლის იგნორირებას. მაგრამ ყველაზე არსებითი საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის ფორმირებისათვის, არის ის ფაქტი, რომ ახალი მსოფლიო ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნა უშუალო კავშირშია სოციალურ-პოლიტიკური ველის დემოკრატიულ გარდაქმნებთან. გარდა ამისა, უკანასკნელ ხანებში მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია სულ უფრო მეტად ასრულებს უსაფრთხოების სფეროში მსოფლიო პოლიტიკის სტაბილიზატორის როლს. ეს გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მთელი რიგი სახელმწიფოებისა და საზოგადოებების შემთხვევაში, რომლებსაც ავტორიტარიზმიდან გეზი აღებული აქვთ დემოკრატიისაკენ. ეკონომიკის მასშტაბური და მზარდი დამოკიდებულება, მაგალითად ჩინეთისა, და ასევე სხვა მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოსა მსოფლიო ბაზრებისაგან, ინვესტიციებისაგან, ტექნოლოგიებისაგან მათ აიძულებს მოახდინონ თავიანთი პოზიციების კორექტირება საერთაშორისო ცხოვრების პოლიტიკურ და სამხედრო პრობლემებთან დაკავშირებით.

ეკონომიკური უთანასწორობა: ჩრდილოეთი და სამხრეთი

ბუნებრივია, მსოფლიო ეკონომიკური ჰორიზონტი უღრუბლო არ არის. მთავარ პრობლემად რჩება უფსკრული ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებსა და განვითარებად, ანდა ეკონომიკური თვალსაზრისით სტაგნაციაში მყოფ სახელმწიფოებს შორის. გლობალიზაციის პროცესები პირველ რიგში მოიცავს განვითარებად ქვეყნებს. მრავალი ეკონომისტის თვალსაზრისით, აფრიკული ქვეყნებისა და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად ბანგლადეში, სამუდამოდ „ჩამორჩნენ“. მრავალი განვითარებადი ეკონომიკისათვის, კერძოდ ლათინური ამერიკისათვის, მათი მცდელობები მიუახლოვდნენ მსოფლიო ლიდერებს არარაობად იქცევა უზარმაზარი საგარეო ვალისა და მისი მომსახურების აუცილებლობის გამო. განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენენ ეკონომიკები, რომლებიც ახდენენ ცენტრალიზებული დაგეგმარების სისტემიდან საბაზრო მოდელზე გადასვლას. მათი გასვლა საქონლის, მომსახურების, კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებით მტკივნეულია.

არსებობს ორი ურთიერთსაზღვრავალი პიპოთეზა მსოფლიო პოლიტიკაზე ამ უფსკრულის, კავშირის განყვეტის შესახებ, რომელიც აღინერება, როგორც დაპირისპირება ახალ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. საერთაშორისო ურთიერთობათა მრავალი მკვლევარი ამ გრძელვადიან ტენდენსებში ხედავენ მომავალი კონფლიქტების მთავარ წყაროს და სამხრეთის მცდელობებსაც კი ძალადობრივი ფორმით გადაანაწილოს მსოფლიოს ეკონომიკური კეთილდღეობა. მართლაც, ამჟამინდელი სერიოზული ჩამორჩენა წინამავალი სახელმწიფოებისაგან ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა ერთიანი პროდუქტის რაოდენობა მსოფლიო ეკონომიკაში პროცენტულად ანდა მოსახლეობის სულადობრივი შემოსავალი, რუსეთს, ინდოეთსა თუ უკრაინას დასჭირდებათ რამდენიმე ათწლეული განვითარების ისეთი აჩქარებული

ტემპებისა, რომ მიუახლოვდნენ აშშ-ს, გერმანიის ანდა იაპონიის დონეს და არ ჩამორჩნენ ჩინეთს. იმავდროულად ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ამჟამინდელი ლიდერები ადგილზე არ გაიყინებიან. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ ახლო მომავალში რომელიმე ახალი რეგიონული ეკონომიკური დაჯგუფება, მაგალითად დსთ, ანდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ლათინური ამერიკის ქვეყნების გაერთიანება, შეძლებს მიუახლოვდეს ევროკავშირს, ATES-ს ანდა NAFTA-ს, რომელთაგანაც თითოეულზე მოდის მსოფლიო ერთიანი პროდუქტის, მსოფლიო ვაჭრობისა და ფინანსების 20%-ზე მეტი.

მეორე თვალსაზრისის თანახმად, მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია, ეკონომიკური ნაციონალიზმის მუხტის დასუსტება, ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა სამეურნეო ქმედება არ შეიძლება იყოს თამაში ნულოვანი შედეგით, იძლევა იმის იმედს, რომ ეკონომიკური უფსკრული ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არ გადაქცევა გლობალური კონტრონტაციის ახალ წყაროდ, განსაკუთრებით იმის სიტუაციაში, როდესაც, თუმცა არსებობს ჩამორჩენა ჩრდილოეთიდან აბსოლუტური მაჩვენებლებებით, სამხრეთი მაინც განვითარების გზით წავა და აამაღლებს თავის კეთილდღეობას. აქ ალბათ უპრიანია ანალოგია არსებულ მოდუს ვივენდისთან მსხვილ და საშუალო კომპანიებს შორის ნაციონალური ეკონომიკის ჩარჩოებში: მასშტაბით საშუალო კომპანიები აუცილებლად არ შედიან კონტრონტაციაში ლიდერ კორპორაციებთან და ცდილობენ მოახდინონ განსხვავების ლიკვიდირება მათ შორის ნებისმიერი საშუალებებით. ბევრია დამოკიდებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი გარემოსაგან, რომელშიც ფუნქციონირებს ბიზნესი, ამ შემთხვევაში მსოფლიოსაგან.

მსოფლიო ეკონომიკაში ლიბერალიზაციის და გლობალიზაციის შერწყმა, თვალსაჩინო სარგებელთან ერთად, თავის თავში შეიცავს ფარულ მუქარასაც. ერთის მხრივ ქვეყნებისა და რეგიონების მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთქმედება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან განვითარების დონით, სამეურნეო სტრუქტურით, კაპიტალის

კვლავწარმოების ტემპებითა და პროპორციებით ხელს უწყობს მათში ერთიანი ეკონომიკური მოდელი შექმნას. მეორეს მხრივ კი ინფლაციური პროცესები, უმუშევრობა, სტრუქტურული დისპროპორციები ქმნიან საფრთხეს, რომ ამ პირობებში ზემოთქმული მოვლენები გავრცელდებიან ჯაჭვური რეაქციის კანონებით და მიიღებენ ეპიდემიის ხასიათს, რაც ზოგადად სისტემის თავდაცვით პოტენციას აკნინებს. ცალკეული ქვეყნების მცდელობას წინ აღუდგნენ კრიზისული პროცესების გავრცელებას საკუთარ ნაციონალურ საზღვრებში სხვადასხვა სახის პროტექციონიზმის საშუალებით, შეუძლია გამოიწვიოს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობების გაზრდა. ამგვარი პროცესები ასევე ხელს უშლის მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის საერთო ტენდენციას.

სახელმწიფოთაშორისო ინტეგრაციული პროცესები მჭიდრო კავშირშია კორპორატიულ ინტერესებთან, რომელსაც დამატებითი ელემენტი შეაქვს პლანეტის სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის საერთო პრობლემაში.

კაპიტალის თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციამ დასაბამი დაუდო ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოქმნას, რომელთა რეალიზაციაც ხდება სხვადასხვა სტრუქტურული ფორმებით. ამჟამად არსებობს დაახლოებით 44 ათასი ტრანსნაციონალური კორპორაცია და მათი 276 ათასზე მეტი ფილიალი. ერთობლივად ისინი აკონტროლებენ მსოფლიო მრეწველობის კერძო სექტორის 1/3-ს, მსოფლიო სამრეწველო წარმოების 40%-ს, განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ექსპორტის 90%-ს, პირდაპირი ინვესტიციების 80%-ს. კორპორაციებზე მოდის საერთო მსოფლიო პროდუქტის 30%. მათი აქტივები აღწევს 10 ტრილიონ დოლარს.

კაპიტალის ორგანიზების დღეს არსებული ფორმები ასახავენ საერთაშორისო სამეურნეო მოღვაწეობის მონაწილეთა მოღვაწეობის ახალ მასშტაბებს და ტექნიკურ შესაძლებლობებს. ტრანსნაციონალური კორპორაციები შეიქმნა სანარმოთა სიდიდის

ოპტიმაციის მოთხოვნების შედეგად და ამასთან დაკავშირებულ აუცილებლობასთან მომხდარიყო საწარმოო ძალების ფუნქციონირებისათვის საზღვრების გაფართოება. კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია იწვევს მის უშუალო კავშირის დაკარგვას იმ ქვეყანასთან, რომლიდანაც იგი წარმომავლობითაა და აქცევს მას საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების დამოუკიდებელ ფაქტორად.

ტრანსპორტის სფეროში სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, კავშირის ახალმა სახეებმა, დამაკომპლექტებელი ნაწილების გამოშვების უმაღლესი დონის სიზუსტემ შექმნა შესაძლებლობა ეროვნული წარმოების ერთიანი ტექნოლოგიური პროცესი დაშლილიყო სხვადასხვა ქვეყნებში ოპტიმალური ეკონომიკური და სოციალური პირობების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს წარმოების მაქსიმალურ უდანაკარგობას და საბოლოო პროდუქტის მასობრივ გამოშვებას.

შრომის საერთაშორისო დანაწილება, სულ უფრო მეტად განიცდის შრომის შიდადარგობრივი დაყოფის ზეგავლენას. ეს კი განისაზღვრება ამა თუ იმ საქონლის ღირებულებითი პირობებით და წარმოების ტექნოლოგიით, რომლებიც მზადდება პლანეტის სხვადასხვა ადგილზე განლაგებულ საერთაშორისო კორპორაციების საწარმოებში. მსოფლიო მეურნეობა თანდათანობით ერთვება ზენაციონალური გიგანტური კორპორაციების კვლავწარმოების პროცესში. ეს გარემოება იქცა კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებისა და საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციის ძლიერ სტიმულად.

ამასთან ერთად, წარმოიქმნება წინააღმდეგობათა სულ მცირე ორი მსხვილი ჯგუფი: წარმოების ინტერნაციონალიზაციასა და იმ ფორმებს შორის, რომლითაც ხდება დღეს მისი რეალიზაცია და რაც უპირატესობას ანიჭებს მსოფლიო ეკონომიკური პროცესში უფრო განვითარებულ სახელმწიფო და კერძო ფორმებს, ასევე წინააღმდეგობა სახელმწიფო და კორპორატიულ ინტერესებს შორის. 100 ყველაზე მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაცია შექმნილია განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში. თუკი სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს შორის წინააღმდეგობათა გადალახვის

მექანიზმი საკმაოდ განვითარებულია და მისი რეგულირება ხდება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით, სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების არათანაბრობა კვლავაც არსებობს და იარსებებს.

1.2 მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის არსი, წინამძღვრები და მიზეზები

ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მოღვაწეობა განიცდის განვითარებადი სამყაროს ტერიტორიებზეც და დიდ გავლენას ახდენს იქ იმგვარი ეკონომიკური სტრუქტურის ფორმირებაზე, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება უპირველეს ყოვლისა თავად ტრანსნაციონალური კორპორაციების კვალაფნარმოების მექანიზმის ფუნქციონირების ინტერესებს. საწარმოები და მთელი სამრეწველო კომპლექსები, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა, მათ შორის განვითარებად ქვეყნებშიც, ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად დაკავშირებულია უპირველესად არა მოცემული ქვეყნის სამეურნეო სისტემასთან, არამედ იმ საწარმოებთან, რომლებიც შედიან ტრანსნაციონალური კორპორაციის შემადგენლობაში მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფილიალები, რომლებიც უშვებენ ყველაზე თანამედროვე და რთულ პროდუქციას, იყენებენ უახლეს მანქანებსა და ხელსაწყოებს, განვითარებად ქვეყნებში არსებობენ ჯერ კიდევ როგორც თავისებური ზედნაშენი მრავალწახნაგოვან ბაზისზე. არც თუ ისე იშვიათად მეტად უმნიშვნელოდ დაკავშირებულნი ეროვნულ წარმოებასთან, მას ართმევენ სამუშაო ძალის ყველაზე კვალიფიციურებულ ნაწილს, დეფიციტურ ნედლეულს, სარგებლობენ რა ადგილობრივ კაპიტალის ბაზრის მომსახურებით, ტრანსნაციონალური კორპორაციები ახდენენ არაერთგვაროვან გავლენას განვითარებადი ქვეყნების კვალაფნარმოებით კავშირებზე, აყალიბებენ შრომის საერთაშორისო დანაწილების იმგვარ ტიპს, რომელსაც გარკვეული

პირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია მოახდინოს ამ ქვეყნებში ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის ხელშეწყობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ტრანსნაციონალური კორპორაციების საშუალებით განვითარებადი ქვეყნები რეალურად ერთვებიან მსოფლიო ეკონომიკური პროცესის დინებაში, მათთვის ხელმისაწვდომი ხდება ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიები, ინოვაციები, შრომის თანამედროვე ორგანიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობის არხები.

ხაზი უნდა გაესვა, რომ კორპორაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების კონკურენციის მიზანი მოგებაა და არა საბაზრო ეკონომიკის სტაბილურობა. ლიბერალიზაცია ამცირებს კონკურენციის შეზღუდვებს, გლობალიზაცია კი ზრდის მისი მოქმედების ველს. როგორც უკანასკნელმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ლათინურ ამერიკაში, რუსეთში, რომელიც ასევე შეეხო მსოფლიოს უკლებლივ ყველა ბაზარს, მსოფლიო მეურნეობის ახალი მდგომარეობა ნიშნავს არა მხოლოდ პოზიტიური, არამედ ნეგატიური ტენდენციების გლობალიზაციასაც. ამის გაცნობიერება აიძულებს მსოფლიო ფინანსურ ინსტიტუტებს გადაარჩინონ სამხრეთ კორეის, სიანგანის, ბრაზილიის, ინდონეზიის, რუსეთის ბაზრები. მაგრამ ეს ერთჯერადი ოპერაციები მხოლოდ გამოკვეთავენ წინააღმდეგობებს ლიბერალური გლობალიზაციის სარგებელსა და მსოფლიო მეურნეობის სიმყარის შენარჩუნების ფასს შორის. მოსალოდნელია, რომ რისკების გლობალიზაცია გამოიწვევს მათი მენეჯმენტის გლობალიზაციასაც, ისეთი სტრუქტურების სრულყოფას, როგორცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო სავალუტო ფონდი და შვიდი ყველაზე განვითარებული სახელმწიფოს ჯგუფი. ისიც ნათელია, რომ გლობალური ეკონომიკის მზარდი კოსმოპოლიტური სექტორი უფრო ნაკლებადაა ანგარიშვალდებული მსოფლიო საზოგადოების წინაშე, ვიდრე ნაციონალური ეკონომიკები სახელმწიფოთა წინაშე.

გლობალიზაციის პროცესი რეალურად მოიცავს ეკონომიკურად ყველაზე წინამავალ პოზიციებზე მყოფ განვითარებად ქვეყნებს, მათ ძირითად ჯგუფს კი კვლავაც მსოფლიო

მეურნეობის პერიფერიაზე ტოვებს. 1917წ. რუსეთის რევოლუციამ კარდინალური გზით მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების დეფორმაცია, გამოიწვია მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ხანგრძლივი კრიზისი. ორი სამყარო - ორი სისტემა - ეს არ არის მხოლოდ სიტყვიერი პარადიგმა. ორი სისტემის ურთიერთკავშირი ეკონომიკური თვალსაზრისით ფორმალური იყო, საკმაოდ ბუნდოვანი და კონფლიქტური. პოლიტიკური და სისტემური ბარიერები საკმაოდ მყარი იყო, რომ ლაპარაკი იყოს სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკაში ფუნქციურ ჩართვაზე. საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის ძირითადი ნაკადები ძირითადად ტრიალებდა ქვეყნების ამ ორი ჯგუფის ჩაკეტილ ორბიტებში.

კონკურენტულ-საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებლად უნდა ჩამოყალიბებულიყო ოპტიმალური ანდა რაციონალური მოდელი კვლავწარმოებისა, რომელმაც შექმნა თანამედროვე ტექნოგენური ცივილიზაცია - ლიბერალური დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი და დარტყმა მიაყენა აგრესიული ნაციონალიზმისა და ქსენოფობიის იდეებს, ხალხთა შორის უნდობლობის პოლიტიკას.

სოციალიტურ ქვეყნებში არსებული კვლავწარმოების ანტისაბაზრო მოდელი ხელოვნური წარმონაქნი იყო, წარმოადგენდა იდეოლოგიურ შეხედულებათა ემანაციას. ზრდის შიდა ხელშეწყობის მოტივებს მოკლებული, იგი იწვევდა ბუნებრივი და ადამიანური რესურსების დაცლას და საბოლოოდ კვლავწარმოების ტემპების შენელებასა და კაპიტალდაბანდებათა ეფექტურობის მოსპობას. მსოფლიო მეურნეობაში სოციალისტურმა ქვეყნებმა ფაქტობრივად ნედლეულის დანამატის სახე მიიღეს. სსრკ-ზე მოდიოდა მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო წარმოების მხოლოდ 0,3%. ამ პირობებში კი ვითარდებოდა მხოლოდ სამხედრო მრეწველობა და იარაღის ექსპორტი. დღეს ეს ბარიერი მოხსნილია, მაგრამ ყოფილი სოციალიტური ქვეყნებისათვის ახალი პრობლემები დგას.

90-იან წლებში ყოფილ სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობის მიერ ცენტრალიზებულ გეგმურ ეკონომიკაზე პრინციპულად უარის თქმა ნიშნავდა მათი პოტენციალისა და ბაზრების ჩართვას საბაზრო ეკონომიკის გლობალურ სისტემაში. თუმცა ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ იყო ორი დაახლოებით თანაბარძალოვანი ბლოკის დაპირისპირების შეწყვეტაზე. სოციალიზმის ეკონომიკური სტრუქტურები არასოდეს არ წარმოადგენდა ღირსეულ კონკურენტს დასავლური ეკონომიკური სისტემისათვის. 80-იანი წლების მიწურულს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ხვედრითი წილი ერთიანი მსოფლიო პროდუქტის წარმოებაში შეადგენდა დაახლოებით 9%-ს, ხოლო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისა - 57%-ს. „მესამე სამყაროს“ ეკონომიკათა უმრავლესობა ორიენტირებული იყო საბაზრო სისტემაზე. ამ მიზეზით, ყოფილ სოციალისტურ ეკონომიკათა ჩართვას მსოფლიო მეურნეობაში უფრო მეტად პერსპექტიული მნიშვნელობა ჰქონდა და წარმოადგენდა ახალ დონეზე ერთიანი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების ან აღდგენის სიმბოლოს. თვისობრივი ცვლილებები კი საბაზრო ეკონომიკაში დაგროვდა ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დასრულებამდე.

1.3 საქართველო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წინა და შემდგომ პერიოდში

გარდამავალ ეკონომიკათა ქვეყნები, მათ შორის მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (პირველ რიგში მსოფლიო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს და პრაქტიკულად არ ითვალისწინებენ ადგილობრივ სპეციფიკას. იმ ქვეყნების პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომლებიც ამჯობინებენ (ანდა იძულებულნიც არიან) ბრმად მისდიონ ამგვარი ორგანიზაციების რეკომენდაციებს. რეფორმათა წარუმატებლობაზე კი პრაქტიკულად პასუხიმგებლობას იხსნიან (ხომ არ მოგვაგონებს ეს

სიტუაცია საბჭოთა პერიოდში არსებულ ვითარებას, როდესაც ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი ცენტრში - მოსკოვში წყდებოდა და ადგილობრივი პოლიტიკური ხელისუფლების მოვალეობას სულაც არ შეადგენდა ამა თუ იმ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება?)

რაც არ უნდა ითქვას, ნათელია, რომ მსოფლიო პოლიტიკის ახალი ეტაპი წინა პლანზე წამოსწევს თავის ეკონომიკურ კომპონენტს. ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, დიდი ევროპის გაერთიანებას, საბოლოო ჯამში ხელს უშლის არა ინტერესთა წინაღობა სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, არამედ სერიოზული ეკონომიკური შეუსაბამობა ერთის მხრივ ევროკავშირს და მეორეს მხრივ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის. ამის მსგავსად, საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების მთავარი ლოგიკა, მაგალითად აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, იკარნახება არა იმდენად სამხედრო უსფრთხოების მოსაზრებიდან, რამდენადაც ეკონომიკური გამონწვევებით და შესაძლებლობებით. უკანასკნელი წლების მანძილზე ისეთი საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტები, როგორცაა „შვიდეული“, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, ATES-ი და NAFTA, აშკარად უტოლდებიან მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენის თვალსაზრისით უსაფრთხოების საბჭოს, გაერო-ს გენერალურ ასამბლეას, რეგიონულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, სამხედრო კავშირებს და ხშირად აღემატებიან კიდევ მათ. ამგვარად, მსოფლიო პოლიტიკის ეკონომიკიზაცია და მსოფლიო ეკონომიკის ახალი თვისებების ფორმირება ხდება საერთაშორისო ურთიერთობების ამჟამად ფორმირებადი სისტემის უმნიშვნელოვანესი პარამეტრი.

გლობალური ფინანსური კრიზისის ერთერთ მთავარ მიზეზად სახელმწიფოპოლიტიკური მოღვაწეები, ეკონომისტები და კერძო ბიზნესის წარმომადგენლები ერთხმად ასახელებს სახელმწიფოს მხრიდან საფინანსო სფეროსადმი მინიჭებულ ზედმეტ თავისუფლებას და შესუსტებულ კონტროლს.

შესაბამისად, სიტუაციის გამოსწორების გზას ისინი თავისუფალი ბაზრის რეგულირების გაძლიერებაში ხედავენ.

საფრანგეთის პრეზიდენტმა და ევროკავშირის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ ნ. სარკოზიმ მიმდინარე წლის სექტემბერში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პირდაპირ განაცხადა, რომ მსოფლიოში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა იგი დაარწმუნა „ევროკავშირის მუდმივი, ძლიერი და ქმედითუნარიანი ადმინისტრაციის საჭიროებაში“, ხოლო, საფრანგეთის ქალაქ ტულონში თავის მომხრეებთან შეხვედრაზე კიდევ უფრო დააკონკრეტა ეს თეზისი და აღნიშნა, რომ პრინციპი - „ბაზარი ყოველთვის მართალია“ - საფუძველშივე მცდარია, Laissez-faire ისტორიას ჩაბარდა და სახელმწიფო რეგულირებად კაპიტალიზმზე უნდა გადავიდეს. აშშ-ში განვითარებული იპოთეკური დავალიანების კრიზისის სხვადასხვა ფაზებზე ჩვენ ვხედავთ საფინანსო ინსტიტუტებისადმი მთავრობის დამოკიდებულების არსებით შეცვლას. კერძოდ, კრიზისის საწყის ეტაპზე მან გაკოტრების „ნება დართო“ საფინანსო ბაზრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთამაშეს „ლემან ბრაზერს“-ს. ამ შემთხვევაში მთავრობა ხელმძღვანელობდა საბაზრო ფუნდამენტალიზმის წმინდა თეორიული პოსტულატით: ბაზრის მონაწილეებს არ მოხსნოდათ ფინანსურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობა. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა ასეთი დამოკიდებულების სიმცდარე. ცნობილი ფინანსური ბრენდის გაკოტრებამ საზოგადოებაში პანიკა გამოიწვია და კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. აღნიშნული მწარე გამოცდილების გათვალისწინებით კრიზისის მომდევნო ფაზაზე აშშ-ს მთავრობამ ფინანსურ ბაზართან მიმართებაში დაიწყო აქტიური ინტერვენციონისტული პოლიტიკის გატარება. ეს გამოიხატა გაკოტრებული საფინანსო ინსტიტუტების გადასარჩენად 700 მილიარდი დოლარის გამოყოფაში; ე.წ. „ცუდი აქტივების“ ჩამოწერაში, ანუ, ჩამოწერილ იქნა 600 მილიარდი დოლარის აქტივი; ბანკებისა და რისკის დამზღვევი სტრუქტურების „რბილ პრივატიზაციაში“, რომელიც შეიძლება

განხილულ იქნას როგორც კერძო ბანკების გასახელმწიფოების თავისებური ფორმა. ამრიგად, დღეს მსოფლიოში აქტუალური გახდა ეკონომიკური ფილოსოფიის პარადიგმის შეცვლის აუცილებლობა, რომელიც გულისხმობს საბაზრო ფუნდამენტალიზმიდან საბაზრო ეკონომიკის რეგულირების დოქტრინაზე გადასვლას. საბაზრო ფუნდამენტალიზმს, როგორც ერთ-ერთ გაბატონებულ თეორიულ მიმართულებას და ათწლეულების მანძილზე ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ დოქტრინას, აღორძინებისა და კრიზისის საკუთარი მიზეზები და კანონზომიერებანი გააჩნია. მისი აღორძინება ქრონოლოგიურად უკავშირდება გასული საუკუნის 70-იან წლებს და განპირობებული იყო ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით: მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარი სტრუქტურული ძვრებით და ნეოკვინზიანური დოქტრინის კრიზისით. გასული საუკუნის 70-80-იანი წლების სპარსეთის ყურის გაჭიანურებულმა სამხედრო კრიზისმა, რომელიც 1980 წელს ერაყსა და ირანს შორის სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა, ჩაკეტა მსოფლიო ეკონომიკისათვის ნავთობის მიმწოდებელი უმნიშვნელოვანესი რეგიონი და ენერგეტიკული კრიზისის დაწყება განაპირობა, რომელმაც მოგვიანებით ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ენერგეტიკული კრიზისის ფონზე დღის წესრიგში დადგა ახალ, პროგრესულ, რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებზე მასობრივი გადასვლისა და ეკონომიკის საყოველთაო რაციონალიზაცია-ოპტიმიზაციის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტასაც ყველაზე ადეკვატურად იმ დროისთვის პასუხობდა საბაზრო ფუნდამენტალიზმის დოქტრინა. იმავე პერიოდში ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს ხარჯების სწრაფ ზრდას, რომელიც უმეტესწილად მოთხოვნაზე ორიენტირებული, კვინზიანური მოდელის პრაქტიკული განხორციელების შედეგი გახლდათ. რიგ წამყვან სახელმწიფოებში (უპირველეს ყოვლისა, აშშ-ში) წარმოიშვა სახელმწიფო ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი და გაძლიერდა ინფლაციური პროცესები. აღნიშნულ გარემოებათა გამო, 70-იანი წლების შუა ხანებიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე პერიოდში დასავლეთში „აგორდა“ საბაზრო

ფუნდამენტალიზმზე დამყარებული ძლიერი ნეოკონსერვატიული ტალღა, რომელმაც წამყვანი, ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოების ხელისუფლებაში მოიყვანა თავისუფალი ბაზრის თავგამოდებული მომხრეები-მარგარეტ ტეტჩერი დიდ ბრიტანეთში და რონალდ რეიგანი აშშ-ში. მათი მოღვაწეობა მხარდაჭერილი იყო წამყვანი საფინანსო ორგანიზაციების-საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (სსფ) და მსოფლიო ბანკის (მბ) მიერ. საბაზრო ფუნდამენტალიზმის დოქტრინამ დასრულებული სახე მიიღო ე.წ. „ვაშინგტონის კონსესუსში“ და როგორც განვითარებად, ისე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების თეორიული ფუნდამენტი გახდა. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში იგი რეალიზდებოდა ისეთ პრაქტიკულ ღონისძიებებში, როგორებიც იყო: პიროვნული და სამეწარმეო თავისუფლების სფეროების გაფართოება; ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაცია; საყოველთაო და სწრაფი პრივატიზაცია; მკაცრი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება. ამ პროცესების საბოლოო მიზანს წარმოადგენდა (როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი თ. ფრიდმანი შენიშნავს) „თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმის გავრცელება პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში“. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საკუთარი აღზევების პერიოდშიც კი საბაზრო ფუნდამენტალიზმის დოქტრინა არ ყოფილა უალტერნატივო და სერიოზულ კრიტიკას განიცდიდა ბევრი ცნობილი ეკონომისტის მხრიდან (ჯ. სტიგლიცი, ე. ჰემბერგი, ჯ. სოროსი და სხვ), რომლებიც მიუთითებდნენ, რომ ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ბაზართან ერთად აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური როლი, რომელიც უნდა გამოიხატებოდეს ბაზრის კორექტირების ფუნქციაში. რეალური პრაქტიკული გამოცდილება და იდეოლოგიური კლიშეებისაგან თავისუფალი თეორიული ანალიზი ნათლად ადასტურებს აღნიშნული მოსაზრების მართებულობას. თანამედროვე ინდუსტრიულ სისტემაში ბაზართან სახელმწიფოს მიმართების უმნიშვნელოვანესი ასპექტია მათი თანამშრომლობა, რაც მკაცრი და სწრაფად ცვალებადი გარემოსადმი ეკონომიკური აგენტების შედარებით უმტკივნეულო

ადაპტაციის საშუალებას იძლევა და, ამასთანავე, ზიანს არ აყენებს კონკურენციას, კრეატიულობასა და ინოვაციებს.

ბუნებრივი გზით ყალიბდება ბაზრის მაკორექტირებელი ინსტიტუტების ერთობლიობა, რაც მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა, მთავარი არ არის. გადამწყვეტია ის გარემოება, რომ თანამედროვე საბაზრო სისტემაში სახელმწიფო იმყოფება არა ბაზრის გარეთ ან მის ზევით, არამედ ორგანულადაა „ჩაშენებული“ ბაზარში და საბაზრო „მინდორის“ (სივრცის) სრულფასოვან მოთამაშეს, წარმოადგენს რომელიც, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელია მთელი საზოგადოების ინტერესების რეალიზაციაზე. ცალკე შეიძლება გამოიყოს გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფოს ბაზართან მიმართების პრობლემა. „შოკური თერაპიის“ მეთოდი, რითაც პოსტკომუნისტური ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში საბაზრო რეფორმები განხორციელდა, ემყარებოდა „ვაშინგტონის კონსესუსის“ მიერ აღიარებულ და მოწონებულ საბაზრო ფუნდამენტალიზმის დოქტრინას და გულისხმობდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე რევოლუციურ გადასვლას. ამ შემთხვევაში აღნიშნული დოქტრინის გამოყენებას, ჩვენის აზრით, გააჩნდა ობიექტური საფუძველი. საქმე იმაშია, რომ არსებობდა არასაბაზრო, უფრო ზუსტად კი - ანტისაბაზრო საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა და ამ შემთხვევაში ბაზრის, როგორც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის ანტითემის როლს ყველაზე უფრო საბაზრო ფუნდამენტალიზმი შეესაბამებოდა, რომელიც ბაზრის საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის ერთადერთ მისაღებ ფორმად განიხილავდა. ამასთანავე, ისტორიული სიმართლის აღიარება მოითხოვს შემდეგი ფაქტის ხაზგასმას: გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლების სათავეში ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით დაიწყო პირველი საბაზრო რეფორმები, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა გლეხებისათვის კერძო საკუთრებაში მიწების გადაცემით და ამით საფუძველი ჩაეყარა

სოფლად ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირებას. ამავე დროს, ეროვნული ხელისუფლება არ იზიარებდა საბაზრო ფუნდამენტალიზმის პრინციპებს და „შოკურ თერაპიას“ არ მიიჩნევდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთადერთ საშუალებად. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივი იყო იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ბ. გუგუშვილის მიერ 1991 წლის ზაფხულში გამოქვეყნებული სტატია სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ, სადაც ფაქტობრივად ჩამოყალიბებული იყო ეროვნული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძვლები. ამ სტატიაში ავტორი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფოს როლს. ჩვენის აზრით, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მოგვიანებით საბაზრო ფუნდამენტალიზმის მომხრეთა მხრიდან აღნიშნულ კონცეფციას მკვეთრად უარყოფითი შეფასება მიეცა და აღქმულ იქნა, როგორც სოციალისტური ელემენტების შენარჩუნების მცდელობა. სამწუხაროდ, ცნობილი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის სათავეში მოექცნენ საბაზრო ფუნდამენტალიზმის ეპიგონები, რომლებმაც ულტრალიბერალიზმის დროშის ქვეშ დაიწყეს საყოველთაო პრივატიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც ათწლეულების მანძილზე ადამიანთა მრავალი თაობის მიერ შექმნილი საერთო-სახალხო საკუთრება ყოფილი პარტიული და სახელმწიფო ნომენკლატურის ხელში აღმოჩნდა. საზოგადოების უმეტესი ნაწილი კი, მათ შორის ინტელიგენცია, გალატაკდა. საქართველოში ჩამოყალიბდა ე.წ. „ველური კაპიტალიზმი“, რომელიც წარმოუდგენლად შორს დგას დასავლეთის თანამედროვე სოციალიზებული კაპიტალიზმისგან. აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ქართველ სწავლულ ეკონომისტთა ერთი ნაწილი მთელი ამ წლების მანძილზე აქტიურად ილაშქრებდა ქვეყნისათვის გარედან თავსმოხვეული ულტრალიბერალური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ამის დასტურად პროფ. რ. გოგობიას შემდეგ გამონათქვამს გავიხსენებთ: „თუ გარდამავალ პერიოდში საქართველოში სახელმწიფომ მთლიანად დაკარგა გავლენა ეკონომიკაზე, სრული კატასტროფა

გარდაუვალია“ (ჟურნ. „ეკონომიკა“, 1993, №10-11, გვ. 18). ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საბაზრო ფუნდამენტალისტების აქტიურობა უფრო მაღალ ფაზაში შევიდა. ქართული ულტრალიბერალიზმის „მამად“ მოგვევლინა რუსეთიდან მონვეული ოლიგარქი კახა ბენდუქიძე, რომელმაც საქართველოში დაბრუნებისთანავე რამდენიმე ნიშანდობლივი განცხადება გააკეთა:

1.1:გაყიდის ყველაფერს სინდისისა

და ნამუსის გარდა; არ იცის რას ნიშნავს „სტრატეგიული ობიექტი“ და მისთვის ნაცნობია მხოლოდ „სტრატეგიული საქონლის“ ცნება. ეკონომიკური განვითარების მინისტრის პოსტზე დანიშვნისას მანვე განაცხადა, რომ მთავარ მიზნად ისახავს ორ-სამ წელიწადში აღნიშნული სამინისტროს გაუქმებას. ბატონმა კ. ბენდუქიძემ ასევე „წარმატებით“ დაშალა ანტიმონოპოლიური სამსახური, უკიდურესად დააკნინა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის როლი, ძირი გამოუთხარა საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას და ა.შ. სწორედ მისი და საბაზრო ფუნდამენტალიზმის სხვა მომხრეთა „დამსახურებაა“ ისიც, რომ საქართველოს ამჟამად არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების სტრატეგია და მთავრობის მთელი საქმიანობა მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაზეა კონცენტრირებული. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა აშკარად დაუცველია გარედან მომდინარე ეკონომიკური შოკებისაგან. ის ფაქტი, რომ თანამედროვე გლობალურ ფინანსურ კრიზისს მთელი სიმწვავეთ ჯერ კიდევ არ უმოქმედია საქართველოს ეკონომიკაზე, განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკაში ჩვენი ინტეგრირებულობის დაბალი ხარისხით, თუმცა, მსოფლიო კრიზისის „ცუნამი“ ოდნავ დაგვიანებით მაინც მოაღწევს საქართველოს ნაპირებამდე, რისი პირველი ნიშნებიც უკვე სახეზეა. ასეთ პირობებში იბადება კითხვა: არის თუ არა საქართველოს მთავრობა მზად ამ მოვლენისაგან გამონწვეული უარყოფითი შედეგების გასანეიტრალებლად და როგორია ამ მზადყოფნის ხარისხი? ვფიქრობთ, ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილ ადამიანსაც კი ძალიან გაუჭირდება აღნიშნულ კითხვებზე დადებითი პასუხის გაცემა.

დღეისათვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია საერთაშორისო ვაჭრობის ისეთი სისტემაა, რომელიც დაფუძნებულია ერთ ვალუტაზე - აშშ დოლარზე. საქმე იმაშია, რომ აშშ დოლარს გააჩნია ორი ფუნქცია - აშშ ეროვნული ვალუტისა და მსოფლიო სარეზერვო და სავაჭრო ვალუტისა. აღნიშნული ფუნქციები უახლოეს წარსულამდე

არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, თუმცა, დღეისათვის ვითარება შეიცვალა. აშშ დოლარი აშკარად კარგავს მსოფლიო ფულის ფუნქციას. ჩვენს თვალწინ დაიწყო მხოლოდ დოლარზე დაფუძნებული მსოფლიო სავაჭრო სისტემის რღვევის პროცესი, რომლის პირველი ნიშნები თანდათანობით იკვეთება და გულისხმობს ქვეყნებს შორის ვაჭრობის განხორციელებას ეროვნული ვალუტების გამოყენებით. იმ საფინანსო ინსტიტუტებისთვის, რომელთა ბაზაზეა აგებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ეს ნიშნავს უფრო დიდ გამოწვევას, ვიდრე აშშ დოლარის კურსის ვარდნა, ვინაიდან, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მსოფლიო ფინანსურ ნაკადებზე კონტროლის განხორციელება და იკარგება შემოსავლების უწყვეტი წყარო. ევროს სავალუტო ზონის შექმნასთან ერთად მსოფლიო კრიზისი ხელს შეუწყობს სხვა რეგიონალური სავალუტო ზონების შექმნას, რაც ნიშნავს აშშ დოლარის საფუძველზე შექმნილი საერთაშორისო ინსტიტუტების, მათ შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სრულ კრახს.

თანამედროვე ფინანსური არქიტექტურა შეიქმნა ისეთ ვითარებაში, როდესაც მსოფლიო ეკონომიკაში დომინირებდა აშშ, ხოლო, საერთაშორისო ანგარიშსწორებებში - ამერიკული დოლარი. განვითარებადი ქვეყნები განეკუთვნებოდნენ ღარიბ რეგიონებს და განიხილებოდნენ, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიის ობიექტები. დღეს რეალობა სულ სხვაა. თანდათანობით ჩამოყალიბდნენ უძლიერესი საერთაშორისო საფინანსო ბაზრები, რომლებიც ფაქტიურად გამოვიდნენ ეროვნული რეგულირების სფეროდან. საერთაშორისო არენაზე ჩნდება ფინანსურ-ეკონომიკურ ძალთა სრულიად განსხვავებული განლაგების კონტურები, რომელიც ეწინააღმდეგება აშშ-ს აბსოლუტური დომინირების პოლიტიკას. დღეისათვის არსებობს ძალთა რამდენიმე ცენტრი. მათ შორისაა საკმაოდ რთული ურთიერთობების მქონე განვითარებული ქვეყნები (აშშ, ევროზონა, იაპონია და სხვა), სწრაფად განვითარებადი ეკონომიკები (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი) და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები, რომლებიც

იმავდროულად არიან განვითარებადი ქვეყნები, მაგრამ, დაგროვილი აქვთ დიდძალი ფინანსური რეზერვები, რომლებითაც იკვებება აშშ-ს ეკონომიკა. ამას ემატება აგრეთვე აფრიკის ქვეყნები, რომლებიც ტრადიციულად კვლავაც მძიმე მდგომარეობაში რჩებიან. ამგვარად, მსოფლიოს ეკონომიკურ-ფინანსურმა რუკამ არსებითად შეიცვალა სახე და შინაარსი, შეიცვალა ეკონომიკური პრობლემებიც, მაგრამ, უცვლელნი დარჩნენ საერთაშორისო ინსტიტუტები და შესაბამისად, მათ უკვე აღარ გააჩნიათ უნარი გადაწყვიტონ ახალი პრობლემები. ამიტომაც, დღეს სულ უფრო მნიშვნელოა აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა დღევანდელი მსოფლიო ფინანსური არქიტექტურის რადიკალური ტრანსფორმაცია, რადგან, უკვე არაა სადავო, რომ ფინანსური პრობლემების რეგულირების მექანიზმები როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული ფინანსური ინსტიტუტების დონეზე არაეფექტურია. ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები დიდი ხანია გასცდა ცალკე აღებული ქვეყნის ჩარჩოებს და მიიღო გლობალური სახე, მაგრამ მაკოორდინირებელი, წარმმართველი და შემთანხმებელი ორგანო კი დღეისათვის მოძველებულია და, შეიძლება ითქვას, აღარ არსებობს.

ევროსაბჭო და ევროკავშირი ერთხმად გამოდიან მსოფლიო ფინანსური არქიტექტურის არსებითი კორექტირების იდეით. მათი აზრით, აუცილებელია რადიკალურად იქნას რესტრუქტურირებული ისეთი საერთაშორისო დაწესებულებები, როგორცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. უახლოეს მომავალში აშშ-ში დაგეგმილი სამიტი, შესაძლოა, გახდეს ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის მონაცვლე, რომელიც ძირეულ ცვლილებებს შეიტანს მსოფლიო ფინანსურ არქიტექტურაში. საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზიმ მოუწოდა მსოფლიოს, გადაიხედოს ის როლი და ფუნქციები, რომლებსაც ახლა ასრულებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. ასევე, სსფ-ს დღევანდელ ხელმძღვანელს შესთავაზა დაფიქრებულიყო ფონდის მომავალ როლზე, რომელიც უფრო აქტიურად იქნებოდა ჩართული გლობალური ფინანსური კრიზისის დაძლევის პროცესებში. ბრიტანეთის

პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა გამოთქვა მოსაზრება სსფ-ს მოდერნიზების აუცილებლობის თაობაზე. მისი აზრით, ახალი მსოფლიო ფინანსური წესრიგი დაფუძნებული უნდა იყოს ტრანსპარენტულობაზე (ანგარიშგების, აქტივების შეფასების მსოფლიო სტანდარტები), ერთიანობაზე (აუცილებელია გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი), პასუხისმგებლობაზე, გლობალურ თანამშრომლობასა და რაციონალურ მეურნეობრიობაზე.

გარდა ამისა, ევროსაბჭოს ლიდერები უკმაყოფილონი არიან თავიანთი პოზიციებით საერთაშორისო სავალუტო ფონდში. მათ სურთ მოახდინონ სსფ-ში თავიანთი წარმომადგენლობის რეორგანიზაცია, რათა მიიღონ აშშ-ს ანალოგიური და ტოლფასი ხელისუფლება. ევროპის საბჭოს ერთიანი ქვოტის წარმოდგენა სსფ-ში მას მიანიჭებს ხელმძღვანელობაში ხმათა 15%25-ზე მეტს, რაც უკვე საკმარისია ვეტოს უფლების გამოსაყენებლად, რითაც სარგებლობს აშშ, რომლის ხმათა წილი 17 პროცენტს აღემატება. აშშ-მ უკვე რამდენიმეჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება კრედიტების გამოყოფის საკითხების განხილვისას, რითაც მსოფლიოს დაანახა, რომ მის ხელშია მსოფლიო ფინანსური მართვის საღვეები.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის გადასინჯვის აუცილებლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა დააგროვეს მნიშვნელოვანი ფინანსური რეზერვები და გახდნენ განვითარებული მსოფლიოს კრედიტორები. მაგრამ, აშკარა უსამართლობა და არაობიექტურობაა ის, რომ ჩინეთს სსფ-ში გააჩნია ბენილუქსის ქვეყნებზე უფრო ნაკლები ხმა. ბრაზილიის ფინანსთა მინისტრმა გამოთქვა მოსაზრება „დიდი რვიანი“ გაიზარდოს „დიდ ოცეულამდე“ უმსხვილესი განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე. მას მხარი დაუჭირა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, აგრეთვე იტალიის ეკონომიკის მინისტრმა. ხოლო მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა რობერტ ზელიკმა ფაქტიურად აღიარა, რომ სახეზეა მსოფლიო ფინანსების მმართველობითი კრიზისი და მიზანშეწონილად ჩათვალია „ელიტარულ კლუბში“ განვითარებადი ქვეყნების მიწვევა, ხოლო, გლობალური კრიზისის

პირობებში ახალი მაკოორდინირებელი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც დასაქმდება ფინანსური და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებით.

როგორც ვხედავთ, მსოფლიო ფინანსური სისტემა დგას სერიოზული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების წინაშე, რომელთა აუცილებლობა აჩვენა აშშ-სა და მთელს მსოფლიოში მიმდინარე ფინანსურმა კრიზისმა. მსოფლიო ფინანსური არქიტექტურა განიცდის ფუნდამენტურ ძვრებს. მიმდინარეობს ფინანსური სისტემის ახალი რეალობების მიმართ ადაპტაციის პროცესი. დღეს მიმდინარე ფინანსური კრიზისი ჰგავს გასული საუკუნის 70-იანი წლების კრიზისს, როდესაც მსოფლიო გადადიოდა ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაზე. ამის ანალოგიურია ამჟამად მიმდინარე პროცესები ფინანსურ სექტორში. თანამედროვე ფინანსური კრიზისის ანალიზი მოითხოვს მრავალნახნაგოვანი პრინციპული საკითხების შესწავლას და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცეს ისეთ გლობალურ კითხვებს, როგორცაა:

როგორ გროვდებოდა და იცვლებოდა უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი სიმდიდრე, ადამიანური კაპიტალი, შრომის ორგანიზაციის ფორმები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში;

როგორ იქმნებოდა შემოსავლების უკანონო და ნახევრადკანონიერი წყაროები, დაკავშირებული ფულის გათეთრებასთან, ფინანსურ სპეკულაციასთან, საქონლის კონტრაბანდასთან, ასევე ნარკოტრაფიკთან და იარაღით ვაჭრობასთან;

როგორ ფორმირდებოდა საერთაშორისო ინსტიტუტები და სამართლებრივი რეჟიმები, რომლებიც განსაზღვრავდნენ საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა სუბიექტების ურთიერთქმედებებს ეროვნული სახელმწიფოების შესუსტებისა და ვესტფალის მსოფლიო სისტემის მსხვრევის პირობებში;

როგორ ჩაისახა ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლებმაც ხელი შეუწვეს „ტექნო-ფინანსების“ ჩამოყალიბებას;

როგორ იცვლებოდა მსოფლიოში ხალხთა დიდი ჯგუფების ფსიქოლოგია და ცნობიერება, რომლის შედეგად აშშ-ში გაჩნდა ლიუმპენ-ინვესტორების კლასი, ხოლო, განვითარებად ქვეყნებში კი - უზარმაზარი მიგრაციული პოტენციალი;

როგორ ბალანსირებდა კაცობრიობა უკანასკნელი 60 წლის მანძილზე ახალი მსოფლიო (ბირთვული) ომის ზღვარზე უეცრად წარმოქმნილი, ან სპეციალურად ინიცირებული კონფლიქტების კერებით ევროპაში, აზიასა და აფრიკაში;

როგორ ეცემოდა განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონე და ჩნდებოდა სიღარიბის ახალი ფორმები;

როგორ მივიდა კაცობრიობა რესურსების გლობალურ დეფიციტამდე დაწყებული ნახშირწყალბადებით და დამთავრებული კვების პროდუქტებით.

დიდია ალბათობა იმისა, რომ დღევანდელ ფინანსურ კრიზისს და მის თანმდევ ეკონომიკურ რეცესიას მნიშვნელოვანწილად საფუძვლად უდევს სწორედ ზემოთჩამოთვლილი გარემოებები. ვერც სსფ-მ, ვერც მსოფლიო ბანკმა, ვერც აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, ვერც RAND-მა, რომელიც არის აშშ-ს მთავარი სააზროვნო ცენტრია, ვერც რომის კლუბმა, რომელიც ცნობილია თავისი აკადემიური მოხსენებებით მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, ვერ შესთავაზეს მსოფლიო საზოგადოებას ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის მკაფიო და სახელმწიფოებისათვის მისაღები მოქმედების კონკრეტული პროგრამა. გამომდინარე აქედან, ცხადია, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის დასაძლევად საჭიროა რეგულირების საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტების მონესრიგება და სისტემაში მოყვანა. გარდა ამისა, აუცილებელია გამოშვებულ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და საინვესტიციო პროგრამების რეალურ შემოსავლიანობას შორის ჩამოყალიბებული არაეფექტური დისბალანსის დაძლევა, რისკების მართვის სისტემის სრულყოფა, კომპანიების საქმიანობაზე

ინფორმაციის მაქსიმალური გამჭვირვალობა და საზედამხედველო მოთხოვნების გამკაცრება, სარეიტინგო სააგენტოებისა და აუდიტორული კომპანიების პასუხიმგებლობის გაძლიერება, საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერების მოხსნის შედეგად სარგებლის მიღების ხელმისაწვდომობა მასში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის.

ამ საკითხების გათვალისწინებით მსოფლიოს ახალ ფინანსურ არქიტექტურას საფუძვლად შეიძლება დაედოს შემდეგი:

ღარიბი ქვეყნების ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში, რაც მათ განვითარებას მისცემს აუცილებელ იმპულსს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ქვეყნები მუდმივ სიღარიბეში დარჩებიან;

საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის გონივრული და მონესრიგებული მოძრაობა, რომელსაც თან უნდა ახლდეს მაკროეკონომიკური წონასწორობისა და საბანკო სტრუქტურების გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები;

გამჭვირვალობის ოქროს წესის დაცვა, რაც ეფექტური მართვის, წარმატებული ეკონომიკური განვითარებისა და ბაზრების რაციონალური ქცევის ფუნდამენტური საფუძველი;

ეფექტური სახელმწიფო მართვა და რეგულირება, რაც გულისხმობს კერძო სექტორის საქმიანობის სტიმულირებას, ჩამოყალიბებული მონოპოლიების რღვევას, მართვის უფრო მარტივი და გამჭვირვალე რეჟიმის შემოღებას და სხვა;

ქცევის ნორმების და წესების შემუშავება და მიღება, რაც გულისხმობს როგორც მსოფლიო, ასევე, ეროვნული ბაზრების საქმიანობის უფრო ობიექტურ ზედამხედველობასა და რეგულირებას;

მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტისადმი მრავალმხრივი, მრავალპროფილიანი მიდგომა და ერთი რომელიმე ქვეყნის ჰეგემონიაზე უარის თქმა.

ჩემის აზრით, გამომდინარე დღევანდელი კრიზისული სია-ტუაციის ანალიზისა და შეფასებიდან, შეიძლება ითქვას, რომ, მსოფლიო ფინანსური სისტემის ცვლილება, სავარაუდოდ, შეიძლება წარიმართოს ორი მიმართულებით. პირველი - შეიძლება შენარჩუნდეს არსებული სისტემა, ანუ დოლარი კვლავ დარჩეს როგორც სარეზერვო ვალუტა და არსებულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა დროთა განმავლობაში

განიცადონ რადიკალური ტრანსფორმაცია არსებული რეალიების გათვალისწინებით. მეორე - მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს არსებული სისტემისადმი უნდობლობის ხარისხი, რაც გააღრმავებს და დროში გაწელავს მსოფლიო კრიზისს და ეს უკანასკნელი დღის წესრიგში დააყენებს არსებული საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების დაშლის აუცილებლობას და მათ ჩანაცვლებას რეგიონული ფინანსური სავალუტო კავშირებით, რაც ნიშნავს მსოფლიო ფინანსური არქიტექტურის ახალ პარადიგმაზე აყვანას.

თავი 2. საერთაშორისო კომპანიების საქმიანობა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე

2.1 მსოფლიო მეურნეობა 2008-2012 წლების გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში

მსოფლიო ეკონომიკა ნელ-ნელა გამოდის იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც იგი ოდესმე ყოფილა. ის პროცესები რომელიც დაიწყო, როგორც ფინანსური კრიზისი, სწრაფად გადავიდა უკანასკნელი წლების ყველაზე დიდ რეცესიაში. მაგრამ, მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტმა, ფინანსური კრიზისის გავრძელების, სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირების, უმუშევრობის ზრდისა და მსოფლიოში პროტექციონიზმის ზრდის მიუხედავად, მოსალოდნელია 2-3%-ით მოიმატოს.

რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, დაზინყებას არ უნდა მიეცეს კონკურენტუნარიანობის ფუნდამენტალური პრინციპები და იგი არ უნდა შეეწიროს მოკლევადიან აუცილებლობებს. მომავალი კონკურენტუნარიანი ეკონომიკებისაა, რომლებიც ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინებით მიემართებიან პროდუქტიულობის ზრდისაკენ და რომელზეც დღევანდელი და მომავალი კეთილდღეობა აიგება. ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის პრობლემატიკა, გლობალიზაციის პროცესების გაღრმავების კვალობაზე, კვლავ ინარჩუნებს აქტუალურობას. აღნიშნული კიდევ ერთხელ დაადასტურა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშმა „გლობალური კონკურენტუნარიანობა 2010-2011 წელს“ (The Global Competitiveness Report 2010-2011), რომლის მიხედვით საქართველომ 93-ე ადგილი დაიკავა.

2005 წლიდან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი თავის ანალიზს აფუძნებს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსზე (Global Competitiveness Index, GCI), რომელმაც ეროვნული კონკურენტუნარიანობა მოიცვა მიკრო და მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლებით. ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების აზრით, კონკურენტუნარიანობა არის ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს. პროდუქტიულობის საზღვრები, თავის მხრივ, ადგენენ კეთილდღეობის იმ საზღვრებს, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას ამა თუ იმ ეკონომიკის მიერ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, უფრო კონკურენტუნარიან ეკონომიკურ სისტემას შესწევს ძალა მიაღწიოს უფრო მაღალი შემოსავლიანობის დონეს თავისი მოქალაქეებისათვის. პროდუქტიულობის ზღვარი ასევე ადგენს იმ უკუგების კოეფიციენტს, რომელიც გამოითვლება ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით. აღნიშნული უკუგების კოეფიციენტი გახლავთ ეკონომიკური ზრდის ტემპების ფუნდამენტური მაჩვენებელი. უფრო

კონკურენტუნარიანი ეკონომიკა არის ის, რომელიც საშუალოდ უფრო სწრაფად იზრდება გრძელვადიან პერიოდში.

კონკურენტუნარიანობის კონცეფცია, მაშასადამე, მოიცავს სტატისტიკურ და დინამიურ კომპონენტებს, თუმცა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მკაფიოდ განისაზღვრება შემოსავლების დონის მდგრადობის შესაძლებლობით და მასში ასევე იგულისხმება ერთ-ერთი ცენტრალური ინდიკატორიც - ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ეკონომიკის ზრდის პოტენციალის დადგენისას (ახსნისათვის).

მიმდინარე წლის კონკურენტუნარიანობის ანგარიშში წინა, პერიოდთან შედარებით, გარკვეული ცვლილებები შევიდა. ასე მაგალითად, პირველ ოცეულში 11 ევროპული სახელმწიფოს ნაცვლად 12 მოხვდა, აზიის ქვეყნები კი ამჟამად მხოლოდ 4 ეკონომიკით არიან წარმოდგენილი, ნაცვლად 5-ისა. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული რეიტინგის მრავალწლის ლიდერმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მე-2 ადგილიდან, ბოლო ანგარიშის მიხედვით, მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.

რეიტინგში პირველი ადგილი შვეიცარიამ შეინარჩუნა. აღნიშნული შესაძლებელი გახდა ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის მაღალი დონის (მე-2 ადგილი) და ბიზნესის წარმოების მაღალი კულტურის (მე-4 ადგილი) გამო. „შვეიცარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ერთ-ერთი საუკეთესონი არიან მსოფლიოში, ხოლო მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ და ბიზნეს სტრუქტურებს შორის, რომელსაც ემატება კომპანიების საკმაოდ მაღალი ხარჯები კვლევებსა და განვითარებაზე, იძლევა იმის გარანტიებს, რომ აღნიშნული კვლევები ტრანსფორმირებული იქნება იმ პროცესებსა და პროდუქტებში, რომლებიც მოთხოვნადია ბაზარზე და რომლებსაც გააჩნიათ მთავრობის მძლავრი მხარდაჭერა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით“, აღნიშნულია ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში (1, 14). რეიტინგში მე-2 და მე-3 ადგილები დაიკავეს შვეციამ და სინგაპურმა, რომლებმაც ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაუსწრეს.

საინტერესოა რეიტინგის მეთოდოლოგია, რომელიც საერთო ჯამში 111 მონაცემს აერთიანებს კონკურენტუნარიანობის 12 ძირითად მახასიათებელში. ამჯერად რეიტინგის ინდიკატორებზე გავამახვილებთ ყურადღებას. აღნიშნული ინდიკატორები არის ის ძირითადი ორიენტირები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასებულ იქნას ეროვნული მთავრობები და წარმატების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი. თავდაპირველად ყურადღება გავამახვილოთ კონკურენტუნარიანობის 12 ძირითად მახასიათებელზე, მასში შემავალ ინდიკატორებზე და მათ მიმართებას საქართველოს ეკონომიკასთან:

1. ინსტიტუტები - 69-ე ადგილი (Institutions). მოიცავს 21 ინდიკატორს, რომლის მიხედვით საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია (მე-4 ადგილი 4,6 ქულით) მთავრობის რეგულაციების სიმძიმე (Burden of government regulation) უჭირავს, ხოლო ყველაზე სუსტი 3,5 ქულით და 122-ე ადგილი მინორიტარი აქციონერთა ინტერესების დაცვას უკავია (minority shareholder's interests);
2. ინფრასტრუქტურა - 73-ე ადგილი (Infrastructure). მოიცავს 9 ინდიკატორს. ძლიერი პოზიცია- 41-ე ადგილი რკინიგზის ინფრასტრუქტურის ხარისხი (Quality of railroad infrastructure); სუსტი პოზიცია-111-ე ადგილი ქვეყნის ტერიტორიის ხელმისაწვდომობა ავიახაზებით (available airline seat kilometers);
3. მაკროეკონომიკური გარემო - 130-ე ადგილი (Macroeconomic environment). მოიცავს 6 ინდიკატორს. ძლიერი პოზიცია 47-ე ადგილი ინფლაცია (Inflation); სუსტი პოზიცია - 128-ე ადგილი ბანკების მიერ მოზიდულ და განთავსებულ ფინანსურ რესურსებს შორის არსებულ საპროცენტო სხვაობის ოდენობა (Interest rate spread);
4. ჯანმრთელობა და დანყებითი განათლება - 73-ე ადგილი (Health and primary education). მოიცავს 10 ინდიკატორს. წამყვანი პოზიცია მე-17 ადგილით დანყებითი განათლების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელს უკავია (Primary education enrollment rate),

ხოლო სუსტი 105-ე ადგილი დანყებითი განათლების ხარისხი (Quality of primary education);

5. უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება - 90-ე ადგილი (Higher education and training). აერთიანებს 8 ინდიკატორს, რომელშიც საუკეთესოა საშუალო განათლების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი (Secondary education enrollment rate) (59-ე ადგილი), ხოლო 125-ე ადგილადაა დაფიქსირებული ადგილობრივი შესაძლებლობების არსებობა სპეციალიზირებული კვლევებისათვის და პროფესიული მომზადებისათვის (Local availability of specialized research and training services);

6. საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა - 64-ე ადგილი (Goods market efficiency). აერთიანებს 15 ინდიკატორს. აღნიშნულ მახასიათებელთა სისტემაში საქართველოს ბიზნესის დანყებისათვის საჭირო დრო (Time required to start a business) და სავაჭრო ტარიფების მიხედვით (Trade tariffs) მე-3 ადგილი უკავია, ხოლო საკმაოდ სუსტი პოზიცია (135-ე ადგილი) ფიქსირდება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობის კუთხით (Effectiveness of anti-monopoly policy);

7. შრომის ბაზრის ეფექტიანობა - 31-ე ადგილი (Labor market efficiency). მოიცავს 9 ინდიკატორს. კარგი პოზიცია გაუთვალისწინებელი ხარჯების ოდენობის მიხედვით (Redundancy costs) (მე-6 ადგილი), ხოლო სისუსტედ უნდა ჩაითვალოს 104-ე პოზიცია კვალიფიცირებული კადრების უცხოეთში გადინების კუთხით (Brain drain);

8. ფინანსური ბაზრის განვითარებულობა - 108-ე ადგილი (Financial market development). აღნიშნულში გაერთიანებულია 9 ინდიკატორი. კაპიტალის მოძრაობაზე შეზღუდვების სიმცირის მიხედვით (Restriction on capital flows) ქვეყანას მე-40 ადგილი უკავია, ხოლო სუსტია პოზიცია ფინანსური ოპერაციების განხორციელებაში ადგილობრივი საფონდო ბაზრის მეშვეობით, (Financing through local equity market) 125-ე ადგილით;

9. ტექნოლოგიური განვითარების დონე - 98-ე ადგილი (Technological readiness). აერთიანებს 6 ინდიკატორს. ამ ექვსიდან კარგი მდგომარეობა (73-ე ადგილი) ინტერნეტის

მომხმარებლების რიცხოვნობის მიხედვით ფიქსირდება (Internet users), ხოლო 125-ე ადგილი გვიკავია ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებელში (Firm-level technology absorption);

10. ადგილობრივი ბაზრის მასშტაბები - 107-ე ადგილი (Market size). აერთიანებს 5 ინდიკატორს. ძლიერი პოზიციები (43-ე ადგილი) მოდის - იმპორტის პროცენტულ წილზე მთლიან შიდა პროდუქტში (Imports as a percentage of GDP). სუსტი პოზიციებია (115-ე ადგილი) უცხოური ბაზრის მასშტაბის ინდექსის მიხედვით (Foreign market size index);

11. ბიზნესის კონკურენტუნარიანობა - 111-ე ადგილი (Business sophistication). აერთიანებს 11 ინდიკატორს. ძლიერი პოზიციები (81-ე ადგილი) კონკურენტუნარიანობის უპირატესობათა ბუნება (Nature of competitive advantage), სუსტი პოზიციები (130-ე ადგილი) ადგილობრივ მომწოდებელთა სიმრავლე (local supplier quantity);

12. ინოვაციები - 125-ე ადგილი (Innovation). მოიცავს 7 ინდიკატორს. იძლიერი პოზიცია (72-ე ადგილი) გახლავთ - ყოველ მილიონ მოსახლეზე პატენტების ეფექტიანობა (Utility patents per million population). სუსტი პოზიციები (134-ე ადგილი) - თანამშრომლობა უნივერსიტეტებსა და რეალურ სექტორს შორის კვლევებსა და განვითარებაში (University-industry collaboration in RD).

კონკურენტუნარიანობის დასადგენად მრავალი საკმაოდ რთული მეთოდები გამოიყენება. აღნიშნული ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის არსებული მეთოდების განხილვა. ჩვენი მიზანია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დოკუმენტების ანალიზის კვალობაზე ქვეყნისათვის სასრგებლო და საინტერესო რეკომენდაციების შემუშავება.

საკითხის გამარტივების და უკეთ წარმოჩენის მიზნით, გვინდა კონკურენტუნარიანობის მარტივი და მისაღები ფორმულა განვიხილოთ. დავუშვათ, რომ კონკურენტუნარიანობის ერთადერთი მაჩვენებელი არის მსოფლიო გლობალურ ბაზარზე ამა თუ იმ ეკონომიკის მიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე დაფიქსირებული მოთხოვნის

მოცულობა. ამ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მსოფლიო ბაზარზე უფრო ნაკლებ საქონელს ყიდის და მომსახურებას აწარმოებს, ვიდრე თვითონ ყიდულობს, თიქსირდება სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. თეორიაში, თუ სახელმწიფო საგარეო ვაჭრობის ბალანსი უარყოფით სალდოს (დეფიციტს) უშვებს, მისი კონკურენტუნარიანობა უფრო დაბალი უნდა იყოს იმ სახელმწიფოსთან შედარებით, ვისაც პირიქით აქვს საქმე. პრაქტიკაში კი ყოველთვის ასე არ არის. უფრო დეტალური დაკვირვებისას ირკვევა:

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული ანგარიშების მიხედვით აშშ დღეისათვის მე-4 ადგილს ჯერდება. ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა აშშ საგარეო სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო მრავალ ასეულ მილიარდ დოლლარს აღწევს. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია არა ის, თუ რეალურად რა ხდება, არამედ ის, თუ ვინ და როგორ აღწერს შექმნილ ვითარებას. საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი - მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ბოლო ანგარიშის მიხედვით, 20 ყველაზე კონკურენტუნარიან ეკონომიკებს შორის 12 ევროპულ და 4 აზიის სახელმწიფოებზე მოდის, ხოლო ამერიკის კონტინენტი აშშ-ით და კანადითაა წარმოდგენილი. თვალშისაცემია აზიის ქვეყნების წარმატებები, რომელიც არ მომხდარა ევროპული ქვეყნების პოზიციების შესუსტების ხარჯზე. ფაქტია, რომ ბოლო წლებში ევროპამ მოახერხა და მეტ-ნაკლებად დააბალანსა თავისი სავაჭრო სალდო აზიის სწრაფად განვითარებად ქვეყნებთან. ასევე ფაქტია, რომ აშშ-ი საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო იზრდება, მაშინ როცა აზიის ქვეყნების - პირიქით, პრეფერციტული ხდება.

პასუხი კითხვაზე, თუ როგორ მოახერხა ევროკავშირმა ის, რაც ჯერ-ჯერობით ვერ გამოსდის აშშ-ს, უნდა ვეძებოთ წარმოების სპეციფიკაში. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული სასარგებლო იქნება ქართული ეკონომიკის ორიენტირების კორექტირებისას.

2.2 საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური

კორპორაციები

განვიხილოთ ამერიკული და ევროპული კომპანიების ქმედებანი კონკურენტულ ბაზარზე. ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული ქმედებანი დღეს ბევრადაა განპირობებული არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით, არამედ საქმეში სოციალურ-კულტურული თავისებურებანიც ერთვებიან.

ამერიკული ეკონომიკა ჩამოყალიბდა, როგორც ინდუსტრიალური საზოგადოების სანიმუშო მოდელი და იგი მიმართული იყო წარმოების უნიფიცირებისაკენ. შედეგად, აქცენტი ყოველთვის კეთდებოდა მასობრივ წარმოებაზე, ნაკლებად იყო ფიქრი ნედლეულისა და სამუშაო ძალის ეკონომიაზე. ამერიკის წარმოებას ყოველთვის ჰქონდა და ეხლაც აქვს იმედი, შედარებით იაფ სამუშაო ძალაზე, რომელიც მოედინებოდა ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან. ასეთი სამეურნეო წყობისას კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისათვის აქცენტი ლოგიკურადაა გადატანილი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე, რომელიც წარმოების მასშტაბების ზრდის ხარჯზე მიიღწევა. შექმნილ ვითარებაში ამერიკული ეკონომიკისათვის ძალზე ძნელია გადავიდეს ინდივიდუალიზირებული პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც ძალზე მომთხოვნ მომხმარებელზეა გათვლილი. ამერიკა მსოფლიოში ცნობილია მასობრივი წარმოების ისეთი კომპანიებითა და ბრენდებით, როგორცაა Coca-Cola, Pepsi-Cola, McDonald's, Intel, Microsoft და ა.შ.

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის შენარჩუნება მხოლოდ მასობრივი წარმოების უპირატესობების გამოყენების ხარჯზე ძალზე ძნელი ხდება, ვინაიდან უცხო ქვეყნის კომპანიები სწავლად განვითარებადი

ქვეყნებიდან (ძირითადად აზიიდან), იგივე პროდუქციას აწარმოებენ და ამერიკელ მომხმარებელს აწვდიან გაცილებით იაფად, ხოლო ადგილობრივი მომხმარებლები ნელა-ნელა, წლიდან წლამდე მიეჩვია იათასიან პროდუქციას.

ზემოთ აღნიშნულ ანალიზს დავემატოთ ეგრეთწოდებულ „ახალი ეკონომიკის“ (2, 62) ფენომენი და ამერიკული ტექნოლოგიების უკანონო მითვისება განვითარებადი სამყაროს კომპანიების მიერ, რომლის შეჩერება ტრადიციული მეთოდებით სულ უფრო რთული ხდება, რადგანაც თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციის თავისებურება - ახალი ტექნოლოგიების მასობრივი გავრცელება და ხელმისაწვდომობა გახლავთ და არა პირიქით.

პასუხი კითხვაზე - როგორ უნდა მოხერხდეს მრავალმილიარდიანი ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტის გაზრდა (ძირითადად ამერიკული კომპანიების), რომელიც მათ მიერ არის განხორციელებული თანამედროვე ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნაში, ჯერ-ჯერობით ბუნდოვანია. თაქტია, რომ აშშ-ს ბაზარი გადავსებულია განვითარებადი ქვეყნების კომპანიების იათასიანი და ნაკლებად ხარისხიანი პროდუქციით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ამერიკული პატენტით ან ლიცენზიითაა წარმოებული. აღნიშნული პროდუქცია დევნის ამერიკის ბაზრიდან ადგილობრივ ნაწარმს, შედეგად აუარესებს აშშ-ს საგარეო ვაჭრობის სალდოს, ხოლო მომწოდებელი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სალდო პრეფიციტული ხდება. ყოველივე ამის შედეგად აშშ-ს ეკონომიკას სჭირდება უფრო და უფრო მეტი ინვესტიციები, რათა ისინი მიმართული იქნას ინოვაციური კვლევებისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად, რომელთა პატენტები და ლიცენზიები გაიყიდება უცხო კომპანიებზე, ისინი აწარმოებენ იათ და ნაკლებად ხარისხიან პროდუქციას, რომლებიც, თავის მხრივ, გააგრძელებენ ამერიკის ბაზრებიდან ადგილობრივი პროდუქციის განდევნას და ა.შ. ამრიგად, წრე მეორდება. აი ზოგადად ის მექანიზმი, რომელშიც თავმოყრილია პრობლემების ის

მოკლე ჩამონათვალი, რომელიც ასუსტებს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციებს გლობალურ კონკურენტუნარიანობის რეიტინგში.

განსხვავებული ტრადიცია ჩამოყალიბდა ევროპის ქვეყნებში. თანამედროვე ევროპაში მატერიალური კეთილდღეობა ანუ კორპორაციული მოგება აღარ წარმოადგენს წარმატების იმ ერთადერთ საზომს, რაც წინათ იყო და რაც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია აშშ-ში. აქ უფრო მნიშვნელოვანია წარმატების სოციალური შემადგენელი, გარემოს დაცვითი ღონისძიებები, პრესტიჟულობა და ა.შ. ევროპაში მეტად აფასებენ პროდუქციის ხარისხს და მის ინდივიდუალურობას. აქ მეტად არიან ორიენტირებულნი გამოყენებული რესურსების შემცირებაზე, ნელ-ნელა უარს ამბობენ მასობრივ წარმოებაზე. შედეგად ფასები ევროპულ პროდუქციაზე საკმაოდ მაღალია, ევროპული კომპანიები დღეს ლიდერები არიან მსოფლიოს ძვირად ღირებული პროდუქტების ბაზარზე. ისეთი ბრენდების ფლობა როგორცაა Rolls-Royce, Ferrari, Cartier, Christian Dior, Chanel და სხვა, წარმატების, პრესტიჟისა და მდგრადობის ნიშანია. ამგვარი საქონლის შექმნისას, მყიდველი მზადაა სიმბოლურად მაღალი და, ხშირ შემთხვევაში, არარეალური ფასი გადაიხადოს. ასეთ ვითარებაში კონკურენტული უპირატესობების მოპოვება ფასის ელემენტის გამოყენებით ყოველივე აზრსაა მოკლებული.

ევროპულმა კომპანიებმა არა მარტო თავისი პროდუქციის ხარისხის ამაღლება მოახდინეს და შეინარჩუნეს ზომიერი ფასები, არამედ მათ ასევე მოახერხეს აეთვისებინათ საკმაოდ დიდი ბაზარი, სადაც ფასს აღარ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მართალია, ევროპელები ვერ ახერხებენ ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მაღალი ტემპის ზრდის დემონსტრირებას, როგორც ამას ამერიკელები ახერხებენ, მაგრამ მათ კარგად გამოსდით აღნიშნული მიღწევების უკეთ დანერგვა წარმოებაში და მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა. ასე მაგალითად, ევროპული ავტომობილები განთქმული არიან თავისი ხარისხით, მოიხმარენ ნაკლებ საწვავს, აკმაყოფილებენ ეკოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნების მაღალ სტანდარტებს.

ამერიკის შეერთებული შტატები მასობრივი წარმოების უპირატესობების ეფექტური გამოყენების მეშვეობით და ტექნოლოგიური პროგრესის მაქსიმალური ხელისშეწყობით, ჯერ-ჯერობით აღწევს თავის დომინირებას რამოდენიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგში. ყოველივე საკმაოდ დიდი მოცულობის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საჭიროებს, რაც საკმაოდ მძიმედ აისახება ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის მაჩვენებლებზე.

ევროპელები, კიპირიქით. მათ ორიენტირი არა მასობრივ წარმოების განვითარებაზე, არამედ მის შეცვლაზე აიღეს. მრავალმილიარდიანი ინვესტიციები უპირატესად ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე და არა მათ შექმნაზე მიდის. შედეგად მათი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები უკეთ გამოიყურება.

+ ზემოთ აღნიშნული ანალიზის გათვალისწინებით გადასაწყვეტია, წარმოების განვითარების რომელი მოდელი უფრო სასარგებლო გამოდგება საქართველოსთვის. დამატებით გვინდა ავლნიშნოთ, რომ „გლობალური კონკურენტუნარიანობა 2010-2011 წელს“ ანგარიშში ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხები, რომლებიც ბიზნესის კეთებას აფერხებს საქართველოში. შევჩერდეთ 6 საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა შეფასებით ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას XX საუკუნეში. გაეროში შემუშავებულ იქნა სპეციალური კოდექსი, რომლის მიხედვით ტრანსნაციონალური კორპორაციის სტატუსი ენიჭება ფირმას, თუ მას:

- I. გააჩნია შვილობილი კომპანიები 6 ან მეტ ქვეყანაში; ამ კომპანიების იურიდიული ფირმისა და მოღვაწეობის სფეროს მიუხედავად.
- II. შექმნილი აქვს გადაწყვეტილების მიღების ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა ერთი ან რამოდენიმე ცენტრიდან განხორციელდეს ერთობლივი პოლიტიკა.
- III. აქვს 100 მილიონ დოლარზე მეტი კაპიტალბრუნვა.

IV. უნარი შესწევს შვილობილი კომპანიების ერთმანეთთან მაქსიმალური დაკავშირებისა, იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ შვილობილი კომპანია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდეს დანარჩენ ფირმებზე.

ტრანსნაციონალური კორპორაციები ფაქტობრივად არიან ეროვნული მონოპოლიები მსხვილი უცხოური აქტივებით. მათი სამრეწველო, სანარმოო და სავაჭრო - სარეალიზაციო მოღვაწეობა, ერთი სახელმწიფოს ფარგლებს სცილდება. ტრანსნაციონალური კორპორაციის ნებისმიერი ცალკე აღებული შვილობილი კომპანია აუცილებელია როგორც ცენტრისთვის, ასევე მთლიანად წარმოების ორგანიზაციისათვის. ამავე დროს ეს კომპანია დამოუკიდებლად ვერ ქმნის რეალიზაციისთვის მზა პროდუქციას; სხვა შვილობილ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე წარმოადგენს მხოლოდ უმნიშველო რგოლს.

ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია აშშ-ში, იაპონიასა და ევროპაში. დღევანდელ საქართველოს ეკონომიკას ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან მინიმალური შეხება აქვს. ტრანსნაციონალური კორპორაციების ნაწარმი შემოდის ჩვენი ქვეყნის ბაზარზე, მაგრამ პირდაპირი კონტაქტები, როგორცაა ადგილზე შვილობილი კომპანიების, ფილიალების შექმნა ან ეროვნული ფირმების შესყიდვა თითქმის არ არსებობს. ეს დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის არახელსაყრელ ეკონომიკურ პირობებთან, რაც პირველ რიგში წარმოების კრიზისით გამოიხატება. წარმოების მასშტაბების კატასტროფულმა შემცირებამ დიდი უმუშევრობა გამოიწვია. აღნიშნულ მოვლენებს ჯაჭვური რეაქციით მოჰყვა სამუშაო ძალის ღირებულების მკვეთრი დაცემა. XX საუკუნის ბოლოს ევროპაში ერთ - ერთი ყველაზე იაფი მუშახელი სწორედ საქართველოშია. ეს ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მიმზიდველი ფაქტორია, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს პირველ რიგში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა სჭირდებათ, რომელიც ადგილზე უზრუნველყოფს კაპიტალის, ბიზნესის უსაფრთხოებას. ჩვენი თანამშრომლობა ტრანსნაციონალურ

კორპორაციებთან დღეისათვის შემოიფარგლება მათ მიერ სარეალიზაციო ცენტრების: სუპერმარკეტების, ბენზინგასამართი სადგურების და სხვათა გახსნით. საქართველოს ტერიტორიაზე თავისი პროდუქციის წარმოების და შვილობილი კომპანიების აქ განლაგების პერსპექტივა ნამდვილად არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ საქართველოში პირდაპირი ინვესტირება და კაპიტალდაბანდებები, ჯერ - ჯერობით, არაპოპულარულია. ჩვენი ქვეყნის ეკონომისტებზე, ბიზნესმენებზე და პოლიტიკოსებზე დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფი ტემპით განვითარდება ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ექსპანსია საქართველოში. ეს პროცესი მომგებიანი იქნება როგორც მოსახლეობისათვის, ასევე მთავრობისათვის (სახელმწიფოსათვის). ხალხი დასაქმდება, წარმოიქმნება ათეულობით ათასი ახალი სამუშაო ადგილი, რაც მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ამვე დროს, თუ პროდუქცია ჩვენს ტერიტორიაზე შეიქმნება, ჩვენთვის იგი გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე არის ამჟამად, რადგან არ დაემატება ტრანსპორტირების და საბაჟო გადასახადები. შესაბამისად ნაწარმს ნაკლები დანახარჯებით შექმნის და მომხმარებელამდე მიტანის გაადვილების ხარჯზე გაიზრდება ჩვენი მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან თანამშრომლობისას ნებისმიერ ქვეყანას და მათ შორის საქართველოს მართებს ზომიერი სიფრთხილის გამოჩენა. ეკონომიკასთან მჭიდრო დაკავშირებით ტრანსნაციონალური კორპორაციები ახერხებენ უცხო ქვეყნების პოლიტიკაზე გარკვეული გავლენის მოპოვებას, რაც რა თქმა უნდა დაუშვებელია სუვერენული სახელმწიფოსათვის. არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ახასიათებთ რამდენიმე უარყოფითი ნიშან - თვისება: - უცხო ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის არც თუ იშვიათად გვერდის ავლა. ასე, ტრანსფერტული ფასების ჩამოყალიბების პოლიტიკის მანიპულაციით, ტრანსნაციონალური კომპანიების შვილობილი კომპანიები, ერთი ქვეყნიდან მეორეში დიდი ოდენობის თანხების გადაგზავნით ახერხებენ გადასახადებისათვის თავის არიდებას, მათ დაფარვას. - მონოპოლიური ფასების დიქტატისკენ სწრაფვა.

XXI საუკუნის დასაწყისში, ექსპერტთა აზრით, ტრანსნაციონალური კორპორაციები შეიჭრებიან იმ სფეროებში, რომლებიც ტრადიციულად სახელმწიფო ინტერესების სფეროებად ითვლებოდა. ამასთან, ლაპარაკი არ არის ეკონომიკის სრულ ინტეგრაციაზე ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ხელმძღვანელობით, არამედ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა მოქმედებებს მიყვავართ ინტეგრაციისკენ მხოლოდ იმ ჩარჩოებში, რომელიც ხელსაყრელია მაქსიმალური მოგების მისაღებად.

როგორც წესი, მართველი კომპანიები და ცენტრები მსოფლიო მნიშვნელობის, ე.წ. გლობალურ ქალაქებში მდებარეობენ, მაშინ როცა წარმოება გატანილია პერიფერიულ რაიონებში ან განვითარებად ქვეყნებში. შესაბამისად, ტრანსნაციონალური კომპანიები მაქსიმალურად იყენებენ გეოგრაფიული მდებარეობის ფაქტორს წარმოების დანახარჯების შესამცირებლად კონკრეტული ქვეყნისა და რეგიონისათვის.

პირველ ტრანსნაციონალურ ფინანსურ დაწესებულად 1118 წელს დაარსებული ტამპლიერების ორდენი შეიძლება ჩაითვალოს, როცა 1135 წელს მათ საბანკო საქმის წარმოება დაიწყო. პირველი ტრანსნაციონალური კომპანია იყო ბრიტანული ოსტ-ინდოეთის კომპანია, რომელიც 1600 წელს დაარსდა. ორი წლის შემდეგ კი ჰოლანდიური ოსტ-ინდოეთის კომპანიაც გაჩნდა, რომელიც პირველი სააქციო კომპანია იყო და, ამავდროულად, ყველაზე მსხვილი საერთაშორისო კომპანიებს შორის. იგი, გარდა იმისა, რომ აზიის ბევრ ქვეყანასთან აწარმოებდა სავაჭრო ურთიერთობებს, ამავე დროს მსოფლიოში პირველი მეგაკომპანიაც იყო, რომელსაც გარკვეულწილად სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება ჰქონდა. მაგ. შეეძლო ომის დაწყება, პოლიტიკურ კამათში მონაწილეობის მიღება, მონეტების გამოშვება, და კოლონიების დაარსებაც კი.

თანამედროვე გაგებით პირველი ტრანსნაციონალური კომპანიები XIX ს-ის ბოლოს გაჩნდნენ. მათი წარმოშობა იმ ფაქტორმა განაპირობა, რომ დიდი მასშტაბებით წარმოება ბევრად ეფექტურია, რადგან გლობალური მასშტაბის საქმიანობა ამცირებს წარმოების დანახარჯებს და ზრდის მოგებას. XX ს-ის ბოლოს მომხადარი მოვლენების გამო

ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ახალი რეგიონები, ახალი ბაზრები და დარგები. ამ მოვლენებს შორისაა საბჭოთა კავშირის დაშლა, ანტიკომუნისტური რეფორმები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ამ რეგიონებში სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, ჩინეთის, როგორც "მსოფლიოს ფაბრიკისა" და უდიდესი ბაზრის სწრაფი განვითარება. ამავე დროს ვითარდება რეგიონალური ინტეგრაცია, ქვეყნები დებენ ხელშეკრულებებს და წევრიანდებიან ეკონომიკურ კავშირებში, რაც ამცირებს სავაჭრო ბარიერებს და ზრდის ეროვნული ეკონომიკების ურთიერთკავშირებს. ტნკ-ები დღეს მეურნეობის თითქმის ყველა დარგშია. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ იმიტომ, თუ რას აწარმოებენ, არამედ იმიტაც, თუ როგორ აწარმოებენ: ტექნოლოგიის დონით, მენეჯმენტის სტილით და მათი პროდუქციის ბაზრის სტრუქტურით. მენეჯმენტი და მარკეტინგი ასეთ კორპორაციებში ხშირად შერეულია. ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში მარკეტინგის შედეგად პროდუქცია იყიდება მთელ მსოფლიოში. უმეტეს შემთხვევაში, ტრანსნაციონალური კორპორაციები რამდენიმე ქვეყნის იურისდიქციას ექვემდებარება, რაც აძნელებს მათ გაკონტროლებას ერთი კონკრეტული სახელმწიფოს მიერ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები შეიძლება დაიყოს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: მათი სიდიდე, მათი ფილიალების რაოდენობა, საქმიანობის ტიპი (მოპოვებითი, სამრეწველო, მომსახურება/სერვისი, ტურიზმი, სასტუმროები, დაზღვევა, ფინანსები, ტრანსპორტი, შერეული, სასოფლო-სამეურნეო), უცხოურ ფილიალებთან კავშირის ტიპი, ანუ როგორ საკუთრებაშია – მთლიანი, ნაწილობრივი, ერთობლივი.

გლობალიზაცია უკავშირდება ბაზრების მიერ გლობალური სახის მიღების მზარდ ტენდენციას, ტნკ-ების სწრაფვას განალაგონ საქმიანობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მოახდინონ სტრატეგიებისა და ოპერაციების კოორდინაცია და ინტეგრაცია ეროვნულ საზღვრებს მიღმა. ამდენად, გლობალიზაციის პროცესი უკავშირდება გლობალური, ანუ

მსოფლიო მასშტაბის მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, რაც ეროვნული ეკონომიკების მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას განაპირობებს.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს გააჩნიათ გამორჩეული მენეჯერული ნიჭი, ფინანსური საშუალებები და ტექნიკური რესურსები, და ისინი ეწევიან უდიდეს საქმიანობას კოორდინირებული გლობალური სტრატეგიის ფარგლებში. ეს კომპანიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალიზაციის პროცესში: ზოგიერთის მტკიცებით გლობალიზაციის საპასუხოდ, ამჟამად, ტრანსნაციონალური კორპორაციის ახალი ფორმა, ე.წ. “გლობალურად ინტეგრირებული საწარმო” ვითარდება.

XXI ს-ის დასაწყისში მსოფლიოში 70 ათასზე მეტი ტრანსნაციონალური კომპანია და თითქმის 850 ათასი მათი ფილიალი არსებობდა. მსოფლიოს 500 უმსხვილესი ტნკ-დან 170 ევროპულია, 162 ამერიკული, 126 იაპონური, ხოლო 42 სხვა ქვეყნებიდანაა (სათავო ოფისის მიხედვით), მაგრამ ტნკ-ში დასაქმებულთა (სულ 75 მილიონ კაცზე მეტი) მხოლოდ 20% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. ტრანსნაციონალური კომპანიები აწარმოებენ მსოფლიოს სამრეწველო წარმოების თითქმის ნახევარს, საგარეო ვაჭრობის 2/3-ს, გამოგონებების, ახალი ტექნოლოგიების, ნოუ-ჰაუს პატენტებისა და ლიცენზიების 80%-ს. ტრანსნაციონალური კომპანიების კონტროლის ქვეშაა ცალკეული სასაქონლო ბაზრები. მაგ. ხორბლის, ყავის, სიმინდის, ხე-ტყის მასალების, თამბაქოს, ჯუთის და რკინის მადნის მსოფლიო ბაზრის 90%, სპილენძისა და ბოქსიტების ბაზრის 85%, ტყვიისა და კალის 80%, ნედლი ნავთობის, ნატურალური კაუჩუკისა და ბანანების ბაზრის 75%.

ტრანსნაციონალური კომპანიების საწარმოებში 70 მლნ-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, ხოლო ინფრასტრუქტურისა და შერეული დარგების გათვალისწინებით 2-ჯერ მეტი. ისინი ყოველწლიურად ერთი ტრილიონი დოლარის ღირებულების პროდუქციას აწარმოებენ. ტრანსნაციონალური კომპანიების 60% დაკავებულია წარმოების სფეროში, 37% – მომსახურების სფეროში და 3[^] – მოპოვებით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

2.3 ბანკის ეფექტიანობის, მდგარდობისა და საიმედოობის საკითხები ფინანსური კრიზისის დროს

შემდეგი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც შეეხება გლობალური ფინანსური კრიზისების წარმოშობისა და სწრაფი გავრცელების პრობლემას, უკავშირდება საერთაშორისო საფინანსო ეკონომიკური ორგანიზაციების როლს თანამედროვე გლობალიზებულ ეკონომიკაში. ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად გამოითქმის მწვავე კრიტიკა ამ ზეეროვნული სტრუქტურების საქმიანობის მიმართ. კრიტიკის ძირითადი საგანია ის გარემოება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ წარმოქმნილი ფინანსური კრიზისების ჩაქრობის, ვიდრე მათი პრევენციის ღონისძიებებს. აღნიშნული მიზნით მათ მიერ იხარჯებოდა უზარმაზარი ფინანსური რესურსები, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები საკუთარი ჯიბიდან იხდიდნენ. კერძოდ, მექსიკის 1995 წლის ფინანსური კრიზისის დაძლევას 47.8 მილიარდი აშშ დოლარი მოხმარდა, საიდანაც 17.8 მილიარდი სსფ-მ გაიღო. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კრიზისმა 123.4 მილიარდი დოლარი „შეიწირა“, რაშიც სსფ-ს წილი 46.9 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ბრაზილიის 1998 წლის ფინანსური კრიზისის „მოთოკვას“ 41.6 მილიარდი აშშ დოლარი დაჭირდა, თურქეთისას კი-10.4 მილიარდი და ეს თანხა მთლიანად მსოფლიო ბანკიდან გაიწა. არგენტინის 2000 წლის კრიზისის დასაძლევად გამოიყო 37.5 მილიარდი დოლარი, აქედან 11.7 მილიარდი გამოჰყო სსფ-მ. ამრიგად, 1995-2000 წლებში გლობალურ ეკონომიკაში წარმოშობილი და განვითარებული ფინანსური კრიზისების დასაძლევად გამოყოფილ იქნა 248.3 მილიარდი აშშ დოლარი, აქედან სსფ-ს მიერ 106.1 მილიარდი, მბ-ს მიერ კი - 26.2 მილიარდი. ამ უდიდესი ფინანსური დანახარჯების მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა ახალი გლობალური ფინანსური კრიზისის თავიდან აცილება და რა დანახარჯებთან იქნება იგი დაკავშირებული, ამის წინასწარგანჭვრეტა ამჟამად

შეუძლებელია. საფუძვლიანი კრიტიკა გამოითქმის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის გაბატონებული იდეოლოგიის, ანუ, საბაზრო ფუნდამენტალიზმის მიმართაც. აღინიშნება, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსური კრიზისის გამწვავება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მის დაძლევას სსფ მხოლოდ ტრადიციულ საბაზრო მექანიზმებზე დაყრდნობით შეეცადა. ბევრმა მსოფლიო დონის ეკონომისტმა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი ყოფილი ვიცე-დირექტორი ჯ. სტიგლიცი, დღის წესრიგში დააყენა ბაზრის შემავსებელი და მაკორექტირებელი სხვა მექანიზმების, მათ შორის სახელმწიფოს გამოყენების აუცილებლობის საკითხი. სამწუხაროა, რომ ასეთი მოსაზრებები მიუღებელი აღმოჩნდა როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობისათვის, ისე ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისთვისაც. შედეგმაც არ დააყოვნა და მსოფლიო კვლავ დადგა ახალი, მწვავე გლობალური ფინანსური კრიზისის წინაშე, რომლის ანალოგიური მხოლოდ გასული საუკუნის 30-იანი წლების „დიდი დეპრესია“ იყო.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ აუცილებელია ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, ბევროვნულ საფინანსო ორგანიზაციებში ამჟამად გაბატონებული ეკონომიკური ფილოსოფიის პარადიგმის შეცვლა და საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურების საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების არსებითი გარდაქმნა.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მკაფიოდ გამოავლინა გლობალური ფინანსური ინსტიტუტების სისუსტე და მათი ფუნქციების არაეფექტურობა. ეს, პირველ რიგში, ვლინდება, მათდამი საზოგადოების ნდობის დაკარგვასა და მათ უნარობაში ადეკვატურად მოახდინონ რეაგირება მსოფლიოს ახალ გამოწვევებზე. აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს (სსფ) და მსოფლიო ბანკს არ შესწევთ უნარი თავიდან აიცილონ არა თუ გლობალური, არამედ, სხვადასხვა ქვეყანაში განვითარებული ლოკალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისებიც კი

საყურადღებოა, რომ დღევანდელმა მსოფლიო კრიზისმა ეჭვქვეშ დააყენა არა მხოლოდ დღემდე შემუშავებული ეკონომიკური და ფინანსური თეორიები, არამედ, გამოავლინა პრაქტიკული ანტიკრიზისული ბერკეტების უსუსურობა სიტუაციის დარეგულირებაში. მსოფლიო ფინანსური სისტემა შევიდა ღრმა დისბალანსის პერიოდში, ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო სათანადო წინააღმდეგობა გაენია მსოფლიო ფინანსური ბაზრების წამლევავი ტალღისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში რეალურად არ არსებობს საერთაშორისო ნორმების შემუშავებელი ინსტიტუტები, რომლებსაც შეეძლებათ კრიზისის დაძლევის კუთხით ქმედითი წინადადებების შემუშავება და შესაბამისი კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა დღეისათვის ჩამოყალიბებული მსოფლიო ფინანსური არქიტექტურის რადიკალური რეფორმირების აუცილებლობა.

თანამედროვე მსოფლიო ფინანსური არქიტექტურა მოიცავს ინსტიტუტებს, ბაზრებს და მეთოდებს, რომელთა მეშვეობით სახელმწიფოთა მთავრობები, იურიდიული და ფიზიკური პირები თავიანთ ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობას ახორციელებენ. იგი ეკონომიკური ურთიერთობების ერთგვარი ერთობლიობაა, რომლის საფუძველზე განისაზღვრება როგორც მსოფლიო ფინანსური სისტემის მოწყობის პრინციპები, ასევე თვით ეროვნული და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ამოცანები და ფუნქციები.

მსოფლიო ფინანსური არქიტექტურის შექმნის წანამძღვრები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში არსებობდა, როდესაც ბრიუსელის (1920 წ.) და გენუას (1922 წ.) კონფერენციებზე დადგა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირების საკითხი. მაგრამ, თანამედროვე მსოფლიო ფინანსური არქიტექტურის ინსტიტუციონალური და იურიდიული გაფორმება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დაფუძნებით და მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებების დადებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავალუტო-საფინანსო კონფერენციაზე ბრეტონვუდსში (აშშ, ნიუ-ჰემპშირი) 1944 წელს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი იქმნებოდა დღევანდელი დღისგან არსებითად განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეაქციების პერიოდში. მისი შექმნის სათავეებთან იდგნენ მსოფლიოს თვალსაჩინო ეკონომისტები ჯონ მენარდ კეინსი და ჰარი დექსტერ უაიტი, რომელთა ჩანაფიქრის თანახმად, ფონდს უნდა ჰქონოდა უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის ფუნქცია. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კაპიტალიზმის რეფორმირების არსი იყო მარტივი და გულისხმობდა იმ სახელმწიფოებისათვის ურთიერთდახმარებას, რომელთა ეკონომიკები კრიზისის პერიოდში განიცდიან კრედიტებისა და ინვესტიციების ნაკლებობას. იმავდროულად, ისეთი გლობალური სტრუქტურების შექმნა, როგორებიცაა: სსფ და მსოფლიო ბანკი, იმ დროისათვის წარმოადგენდა გადახვევას კლასიკური პრინციპიდან (LAISSEZ-FAIRE), რაც გულისხმობდა კერძო პირებისა და ბიზნესის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობას. მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ რა გარემოებაში იქნა მიღებული მათი შექმნის გადაწყვეტილება. გასული საუკუნის 20-30-იან წლების დიდი დეპრესიის სახელით ცნობილი ეკონომიკური კრიზისი თავისით კი არ დამთავრდა, არამედ შეწყდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად. სსფ იქმნებოდა არა ფილანტროპიულობის მოსაზრებებით, არამედ მხოლოდ ეკონომიკების კრიზისული სიტუაციებისაგან დაზღვევის მიზნით. თუმცა, დღევანდელი დღის ცხადპყო, რომ სსფ-მ არ, ან ვერ შეძლო ფართო მასშტაბით განვითარებული ფინანსური კრიზისის არა მარ-ტო დროული პროგნოზირება და თავიდან აცილება, არამედ, უკვე განვითარებული კრიზისის დაძლევა-შერბილების მიმართულებით ქმედითი რეკომენდაციების შემუშავებაც კი - იგი მხოლოდ კრიზისის მეთვალყურის როლში აღმოჩნდა.

მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტები და ექსპერტები, აგრეთვე სახელმწიფო მოღვაწეები აშკარად ნეგატიურ შეფასებას აძლევენ ამ ეტაპზე საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობას. მათი აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ფაქტიურად ამოწურა თავისი თავი, რაც გამოვლინდა ნდობის

დაკარგვაში ამ ზესახელმწიფო ინსტიტუტის მიმართ. სსფ და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც მონოდებულნი უნდა იყვნენ მსოფლიო ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ფაქტიურად ბლოკავენ ნებისმიერ მცდელობას შემოღებულ იქნას გლობალური ფინანსური ნაკადების რეგულირების რაიმე ეროვნული ან საერთაშორისო მექანიზმი მადესტაბილიზებელი ეფექტების თავიდან აცილების მიზნით. ამით, როგორც ჩანს, სსფ ფაქტიურად მოქმედებს საერთაშორისო სპეკულაციური კაპიტალის ინტერესებიდან გამომდინარე. სსფ-ს მსოფლიოში გააჩნია რეპუტაცია ექიმისა, რომელიც დიაგნოზის დადგენის გარეშე იძლევა რეცეპტებს. როგორც წესი, სსფ-ს პროგნოზები და რეკომენდაციები რეალობისაგან შორს დგანან. მისი უმსხვილესი აქციონერის (აშშ) ძალისხმევით სსფ-საგან შეიქმნა საკმაოდ შემოსავლიანი კომერციული ინსტიტუტი. იგი აიძულებს განვითარებად ქვეყნებს აიღონ კრედიტები წლიური 7-15%25-ით, მაშინ, როდესაც მათი ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპები 2-3%25-ს არ აღემატება. ასეთ სიტუაციაში პრობლემური ხდება არა მარტო კრედიტების გასტუმრება, არამედ, თვით მათი მომსახურებაც კი. სწორედ ამას ჰქვია სავალო ხაფანგი. განვითარებადი ქვეყნები იძულებულნი არიან აიღონ სულ უფრო მეტი კრედიტი, რითაც გენერირდება მოთხოვნა დოლარზე, რადგან ფონდის მიერ კრედიტები მხოლოდ ამ ფულადი ნიშნით გაიცემა.

გარდა ამისა, სსფ-ს გააჩნია ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკებზე საკმაოდ ძლიერი კონტროლის საშუალება. ფონდის სახსრების გამოყენება და მისი პროგრამების პოლიტიკურ-ეკონომიკური განპირობებულობა ძირს უთხრის ფონდის სახსრების მიმღები სუსტი და განვითარებადი ქვეყნის სუვერენიტეტს და დემოკრატიულ პროცესებს, ვინაიდან, სახელისუფლებო სტრუქტურაში ძალთა გადანაწილება ხდება სესხის მიმღები აღმასრულებელი ხელისუფლების და არა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ. თუმცა, მიუხედავად თავისი გავლენისა განვითარებად ქვეყნებზე, სსფ-ს არ გააჩნია სათანადო ბერკეტები უზრუნველყოს ფონდის პროგრამის პირობების

შესრულება. სულ უფრო მტკიცდება მოსაზრება, რომ სსფ-ს მართვის სტრუქტურა არ იძლევა საშუალებას მიღწეულ იქნას მისი დამოუკიდებლობა და სრული ანგარიშვალდებულება აქციონერების მიმართ. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები, პირველ რიგში აშშ, სსფ-ს იყენებენ როგორც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტს. სსფ ქვეყნებს თავს ახვევს ფიქსირებული კურსების სხვადასხვა რეჟიმების ვარიანტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ფინანსური კრიზისების წარმოქმნას. დღეისათვის მიმდინარე მსოფლიო კრიზისმა ცხადჰყო, რომ სსფ-ს არ შესწევს უნარი დაეხმაროს ქვეყანას საკმარისი ლიკვიდობით კრიზისების დროს.

ასევე ფართოდ ვრცელდება მოსაზრება, რომ სსფ-ს ფონზე მსოფლიო ბანკი უსახურ ორგანიზაციად გამოიყურება. როგორც სსფ-ს, ასევე მსოფლიო ბანკის შექმნის იდეა ჯონ მეინარდ კეინსს ეკუთვნის. ფორმალურად მსოფლიო ბანკის ჯგუფი მოიცავს შემდეგ უმსხვილეს სააგენტოებს: საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, ინვესტიციების გარანტირების სააგენტო, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საინვესტიციო დავეების დარეგულირების საერთაშორისო ცენტრი, საერთაშორისო განვითარების ასოციაცია. ისევე როგორც სსფ, მსოფლიო ბანკიც გაეროს დაწესებულებაა, რომელსაც არ გააჩნია მათზე ზემოქმედების ბერკეტები. ორივე ამ ინსტიტუტის უმსხვილესი აქციონერია აშშ.

მსოფლიო ბანკი, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ხელს უნდა უწყობდეს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას და სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას. თუმცა, როგორც პრაქტიკა მონშობს, მისი პროექტების 60%25 სათანადოდ წარმატებული არ აღმოჩნდა. მსოფლიო ბანკის ამოცანაა სიღარიბესთან ბრძოლა, თუმცა, უკანასკნელ წლებში ღარიბმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდება ასეთი სახის დახმარება, მიიღეს მთლიანად გაცემული კრედიტების მხოლოდ 1%25. მართალია, უკანასკნელ წლებში მსოფლიოში სიღარიბის დონე გარკვეულწილად შემცირდა, მაგრამ, არა მსოფლიო ბანკის ძალისხმევით. სიღარიბის

დონე შეამცირეს სახელმწიფოებმა, რომლებსაც პრაქტიკულად არ მიუღიათ მსოფლიო ბანკის ფინანსური დახმარება, ხოლო, ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს მცირეოდენი მაინც კრედიტები, ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ასე, მაგალითად, 1980 წლიდან 2003 წლის ჩათვლით მსოფლიო ბანკის კრედიტები და გრანტები მიიღო 105 ლარიბმა სახელმწიფომ. შედეგად 39 ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა შემცირდა, 17-ში - მშპ-ს ზრდა იყო მინიმალური (ნულიდან 1%25-მდე), ხოლო 33 ქვეყანაში - ზომიერი (1-4%25). დახმარების მიმღებ მხოლოდ 12 ქვეყანაში არსებითად ამაღლდა ეკონომიკური ზრდის ტემპები. კრიზისული სიტუაცია გაღრმავდა აფრიკის ქვეყნებში, სადაც მსოფლიო ბანკის სესხი 48 სახელმწიფომ მიიღო, ხოლო, მათგან მხოლოდ სამმა შეძლო ეკონომიკის შედარებით ნარმატებული განვითარება, 23-ში აღინიშნებოდა ეკონომიკური დაცემა. ბევრ შემთხვევაში მსოფლიო ბანკის პროექტები და მათ საფუძველზე განხორციელებული რეფორმები უარყოფითად მოქმედებდნენ ეროვნულ ეკონომიკებზე და იწვევდნენ ნეგატიურ შედეგებს - სიკვდილიანობის, კორუფციის და დანაშაულის ზრდას. ყოველწლიურად მსოფლიო ბანკი გამოყოფს კრედიტებს დაახლოებით 20-25 მლრდ. დოლარის მოცულობით. ეს თანხა უტოლდება აშშ-ს, იაპონიისა და დასავლეთ ევროპის საშუალო მოცულობის კომერციული ბანკის ნორმალურ საკრედიტო პორტფელს. თუმცა, ჩვეულებრივი ბანკებისგან განსხვავებით, მსოფლიო ბანკს არ გააჩნია სრულყოფილი ბერკეტები გააკონტროლოს მსესხებლის მიერ ნასესხები სახსრების მიზნობრივი ხარჯვის პროცესი. კრედიტების დიდი ნაწილი რჩება „ჩამოკიდებულ“ მდგომარეობაში, ხდება მათი დატაცება ან უბრალოდ უკვალოდ ქრება.

მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური არქიტექტურის ერთ-ერთი შემადგენელი ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტია, აგრეთვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო), რომელმაც თავისი საქმიანობა დაიწყო 1996 წლის 1 იანვრიდან. მისი ფუძემდებლური პრინციპებია ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, ანუ უცხოური წარმოების საქონლითა და

მომსახურებით ვაჭრობისათვის ურთიერთხელშემწყობი პირობების შეთავაზება, ვაჭრობის რეგულირება მეტწილად სატარიფო მეთოდებით, უარის თქმა რაოდენობრივი და სხვა სახის შეზღუდვებზე, სავაჭრო დავების გადანაცვება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით და სხვა.

თავი 3. XXI საუკუნის დასაწყისის ფინანსური კრიზისი: გამოცდილება და ანტიკრიზისული ღონისძიებები

3.1 მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაძლევის კონცეპტუალური მიდგომები

გლობალიზაციის შედეგად საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მზარდმა ინტერნაციონალიზაციამ და პრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ამ პროცესებში ჩართული ცალკეული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების დონე და მთელი რიგი თანმდევი ნეგატიური მოვლენების პროვოცირება გამოიწვია.

„გლობალიზაციის მომხრეები საერთაშორისო ეკონომიკის შემდგომ ლიბერალიზაციასა და ქვეყნების შიდა ეკონომიკის დერეგულირებას გვთავაზობენ. ამ წინადადებებს სერიოზული შედეგი მოჰყვა აზიაში და ახლადწარმოქმნილ ფინანსურ ბაზრებზე, რამაც ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობა და მოსახლეობის გაღარიბება გამოიწვია“ (პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი, „გლობალიზაციის კრიტიკული ანალიზი“, თბ., 2005, გვ. 10). გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გაცილებით რთულდება, ვიდრე „ცივი ომის“ და ორპოლუსიანი მსოფლიოს დროს. ორი სისტემის - კაპიტალისტურისა და სოციალისტურის დაპირისპირების პირობებში ეროვნული ინტერესები უფრო ღიად და გამოკვეთილად ფიქსირდებოდა. ამიტომ საფრთხეებიც შედარებით მარტივად პროგნოზირებადი იყო.

ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად კი მთელი რიგი ახალი საფრთხეები წარმოშვა, კერძოდ: გაღრმავდა ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა; გაიზარდა სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბაზრების დამოკიდებულება გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე და აქედან გამომდინარე ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობა;

სახეზეა სამუშაო ძალის მზარდი ლეგალური და არალეგალური მიგრაცია; გაიზარდა ორგანიზებული დანაშაული, განსაკუთრებით „კორპორატიული თაღლითობა“ (მაგალითად, „ენრონისა“ და „ბერნარ მედოფის“ საფინანსო თაღლითობები) და ა.შ.

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში სხვა ქვეყნის წინააღმდეგ უშუალო სამხედრო მოქმედებებმა და აშკარა დაპირისპირებამ ადგილი დაუთმო ზემოქმედების უფრო ელასტიურ და ფარულ ფორმებს - ეკონომიკურ ომს, სტრატეგიული რესურსების ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენებას, ეკონომიკურ ბლოკადას, სანქციას, სახელმწიფო და კომერციული საიდუმლო ინფორმაციის არასანქცირებულ მოპოვებას და ა.შ., - რისი საშუალებითაც ხორციელდება სხვა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესუსტება და საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარება. ამ კუთხით გლობალიზაცია საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის არა მარტო დღეს არსებულ მყიფე საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს (საერთაშორისო უსაფრთხოებას), არამედ ართულებს ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტების ეფექტიან ურთიერთქმედებას.

1945 წლიდან დაწყებული, XXI საუკუნის დამდეგამდე ხდებოდა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების აშშ-ის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კურსთან ადაპტაცია, რომელიც ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან და ეროვნული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარეობდა. ამ პირობებში ცალკეული ქვეყნების ეკონომიკა და ეკონომიკის მართვის ეროვნული სტრატეგია თანდათან მნიშვნელობას კარგავდა. ამავე დროს, XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები და უპირველესად 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომლის პროვოცირება სწორედ აშშ-იდან დაიწყო, გვიჩვენებს, რომ ყოველ სახელმწიფოს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ადაპტირებული და შეთანხმებული ეროვნული უსაფრთხოების დამოუკიდებელი სტრატეგია და პოლიტიკა უნდა ჰქონდეს.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის განუყოფელი ნაწილია და ეკონომიკური ბაზისის პირველადობიდან

გამომდინარე, მისი საფუძველიცაა.

საზოგადოების განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვიჩვენებს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებას საბოლოო ჯამში ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს.

ამ პირობებში სასიცოცხლო აუცილებლობას იძენს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების (ეეუ) არსებული დონის შეფასების ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის ფორმირება.

ჩვენი აზრით ეეუ შეფასების ერთიანი სისტემის ფორმირება მოიცავს სამი, ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებული ღონისძიებების თანმიმდევრულ განხორციელებას. კერძოდ ესაა: ეეუ შეფასების ინსტიტუციური უზრუნველყოფა; ეეუ შეფასების სისტემისა და მეთოდების განსაზღვრა; ეეუ შეფასების ინდიკატორებისა და პარამეტრების ფორმირება.

აღნიშნული საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შეფასების ერთიანი სისტემის ფორმირება, წარმართვა და მონიტორინგი ქვეყნის ეეუ პრობლემების დროული და ეფექტიანი გადაწყვეტის საფუძველია.

3.2 მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაძლევის სტრატეგიები და პროგრამები

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის (უპირველესად საპრეზიდენტო და საპრეზიდენტო-საპარლამენტო მმართველობის ფორმით) ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფის (მ.შ. შეფასების სისტემის და მეთოდების) საკითხების რეგულირება, პრეზიდენტის უმთავრესი საკონსულტაციო ორგანოს - ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს და მისი აპარატის პრეროგატივაა.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე ეეუ ერთიანი სისტემის ფორმირება, წარმართვა და მონიტორინგი ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატის

ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, რაც შემდეგი თანმიმდევრობით უნდა ხორციელდებოდეს:

პირველ ეტაპზე აუცილებელია შესაბამისი სამინისტროებიდან და უწყებებიდან ობიექტური ინფორმაციის ოპერატიული მიღება.

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ევუ სტრატეგიისა და მიზნობრივი პროგრამების პოლიტიკურ-დიპლომატიური მხარე;

- ფინანსთა, ეკონომიკის, ენერჯეტიკისა და სხვა „ეკონომიკური ბლოკის“ სამინისტროებმა უნდა მოამზადონ წინადადებები ევუ სტრატეგიისა და მიზნობრივი პროგრამების ეკონომიკური მეთოდებით შესასრულებლად;

- საგარეო დაზვერვის, უშიშროების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ევუ სტრატეგიისა და მიზნობრივი პროგრამების შესრულებისთვის აუცილებელი ობიექტური ინფორმაციის ოპერატიული მოპოვება და წინადადებების მომზადება საფრთხის გასანეიტრალებლად.

მოპოვებული ინფორმაცია და შემუშავებული რეკომენდაციები მიეწოდება ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატს.

მეორე ეტაპზე ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატში განხორციელდება სხვადასხვა სამინისტროებიდან შემოსული მასალების ანალიზი და შეჯერება, რის შედეგადაც გამოცალკევდება ის ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური.

სოციალური, ეკოლოგიური და სხვ. რისკები და გამოწვევები, რომელთა განხორციელება ან პირიქით - შეუსრულებლობა საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს. ამის საფუძველზე განისაზღვრება ევუ არსებული დონის შეფასების ძირითადი ინდიკატორები და პარამეტრები. მესამე ეტაპზე ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატში, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით თითოეული კონკრეტული რისკის-ფაქტორისა და გამოწვევის გასანეიტრალებლად დამუშავდება მოვლენათა შესაძლო განვითარების

მრავალვარიანტული სიტუაციური მოდელი, რის საფუძველზეც ხელისუფლების უმაღლესი პირებისათვის უნდა შედგეს საპასუხო მოქმედებათა რეკომენდაციები.

მეოთხე ეტაპზე აღნიშნულ რეკომენდაციებს განიხილავს და დაამტკიცებს ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭო.

მეხუთე ეტაპზე ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს მიერ დამტკიცებულ რეკომენდაციებს და მოქმედების პროგრამებს (მ.შ. ძირითად ინდიკატორებსა და პარამეტრებს) მიეცემათ ნორმატიული სახე (კანონის, პრეზიდენტის ბრძანებულების ან განკარგულების ფორმით) და დაიყვანება კონკრეტულ შემსრულებლებამდე.

ეეუ მიზნობრივი პროგრამების შესრულების და შესაბამისი პოლიტიკის რეალიზაციის შეფასებას ანხორციელებს ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატი.

2. ეეუ ფაქტიური მდგომარეობის შეფასების ძირითადი მეთოდები

ეეუ ფაქტიური მდგომარეობის შეფასების სისტემა და მეთოდები დამოკიდებულია ეეუ უზრუნველყოფის დამუშავების კონკრეტულ დონეზე. სახელმწიფოს ეეუ დონის შეფასება განსხვავებულ მაჩვენებლებს მოითხოვს ვიდრე საზოგადოების ან პიროვნების ეეუ.

ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს ეეუ შეფასებას გაცილებით რთული და მრავალმხრივი მაჩვენებლების ანალიზი სჭირდება, ვიდრე დანარჩენ ორს. დღეისათვის გამოიყენება ეეუ არსებული მდგომარეობის შეფასების შემდეგი ძირითადი მეთოდები:

ა. ექსპერტული შეფასების;

ბ. სტატისტიკური ანალიზის;

გ. სიტუაციური მოდელირების.

ა. ეეუ არსებული დონის ექსპერტული შეფასების მეთოდი გულისხმობს სხვადასხვა პროფილისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების (ექსპერტების) ჯგუფების შექმნას და მათ მიერ შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას. ეს შედარებით მარტივი მეთოდია. ცდომილების და სუბიექტური შეფასებების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ამავე დროს პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ეეუ შეფასების ექსპერტული

მეთოდი გულისხმობს დარგის ან მიმართულების ყველაზე კვალიფიციური კადრების შერჩევას, რომელთა დასკვნა და რეკომენდაციები თავისუფალი იქნება პოლიტიკური კონიუნქტურისგან.

გარდა ამისა, ეს მეთოდი გაცილებით ოპერატიულია, ვიდრე დანარჩენები.

ამ დროს გამოიყენება ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შემდეგი ფორმები: „ინტელექტუალური შეტევის“, „სცნარების შედგენის“, „საქმიანი თამაშების“, „დელოფის“ და სხვ.

ეფუ ექსპერტული შეფასების მეთოდის ეტაპებია:

- შეფასების მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბება;
- ინფორმაციის მოძიების და დამუშავების მეთოდებისა და ხერხების შერჩევა;
- ექსპერტთა ჯგუფის დაკომპლექტება;
- ექსპერტიზის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
- საბოლოო ანგარიშის შედგენა.

ბ. ეფუ შეფასების სტატისტიკური ანალიზის მეთოდი გულისხმობს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეფუ უზრუნველყოფის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის გამოყენებით ეფუ არსებულ მდგომარეობასთან შედარებითი პარალელური კვლევების ჩატარებას და ამის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას. ამ მეთოდის უარყოფითი მხარეა ის, რომ მხოლოდ მექანიკური გამოყენებისას საკმაოდ მაღალია ცდომილების ხარისხი.

გ. ეფუ შეფასების სიტუაციური მოდელირების მეთოდი დღეისათვის ითვლება კრიტიკული სიტუაციების, გამონწვევებისა და ეკონომიკური საფრთხეების მეცნიერული ანალიზის ყველაზე ეფექტიან საშუალებად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ოპტიმალურად გადაიჭრას შემდეგი პრობლემები:

- მონაცემთა ბაზის მონიტორინგი;
- რთული სიტუაციების (პრობლემების, საფრთხეების) მოსალოდნელი განვითარების

ტენდენციების ანალიზი;

- მოსალოდნელი კონკრეტული რისკების, პრობლემების და საფრთხეების ანალიზი;
- შესაძლო სცენარების მოდელირება გლობალურ, სტრატეგიულ და ლოკალურ დონეებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეფუ ფაქტური მდგომარეობის შესახებ მაქსიმალურად სრულ სურათს სამივე მეთოდის კომპლექსური გამოყენება იძლევა.

ეფუ არსებული მდგომარეობის შეფასების სისტემას (ინდიკატორებსა და პარამეტრებს) და კონკრეტულ მეთოდებს განსაზღვრავს და მათი შესრულების მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატი.

3. ეფუ შეფასების ინდიკატორებისა და პარამეტრების ფორმირება

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სხვადასხვა სამინისტროებიდან და უწყებებიდან შემოსული მასალების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე განისაზღვრება ეფუ არსებული დონის შეფასების ძირითადი ინდიკატორები და პარამეტრები. ეფუ ინდიკატორები ეროვნული ეკონომიკური ინტერესების ცალკეული მიმართულებების მიხედვით განსაზღვრული ის აგრეგირებული ხარისხობრივი ეკონომიკური მაჩვენებლებია, რომელთაც შეუძლიათ ეროვნულ ეკონომიკას ყველაზე მეტი საფრთხე შეუქმნან.

მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება; ფულად-საკრედიტო სისტემის არასტაბილურობა; საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირება; სტრატეგიული რესურსების მარაგების შექმნა; ბიუჯეტის დეფიციტი; საგარეო და საშინაო ვალი; სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების შემცირება; ძირითადი ფონდების მოძველება; არსებული რესურსული პოტენციალი და მისი შევსება; კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის ზრდა; უცხოურ ინვესტიციებზე დამოკიდებულების ზრდა და ა.შ.

ეფუ ინდიკატორების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს შემდეგი დონეების მიხედვით:

ა. გლობალურ დონეზე - ქვეყნის წინაშე მდგარი სასიცოცხლო მნიშვნელობის

ამოცანებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს უზოგადესი ინდიკატორები (ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის; ეკონომიკური პოტენციალის სრული ამოქმედება; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ა.შ.).

ბ. გეოსტრატეგიულ დონეზე - დროის სხვადასხვა პერიოდისათვის ქვეყნის წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს შესაბამისი ინდიკატორები (ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, უცხოური ინვესტიციების სტიმულირება; საზოგადოების ეთნიკური პოლარიზაცია, უმნიშვნელო-ვანესი რესურსების სტრატეგიული მარაგების შექმნა, ინფრასტრუქტურის ოპტიმალური ფუნქციონირება და ა.შ.).

გ. ტაქტიკური მიზნების დონეზე - ამ დროს უნდა განისაზღვროს ის ინდიკატორები, რომლებიც დააკონკრეტებენ სტრატეგიულ ინდიკატორებს (მაგალითად, მრეწველობის, აგრარული სექტორის და სხვ. ხვედრი წილი მშპ-ში, სტრატეგიული მარაგების რესურსული შემადგენლობა და ოპტიმალური მოცულობა, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო არტერიების დივერსიფიკაციის კონკრეტული ფორმები და ა.შ.). მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ეყუ ინდიკატორები, უნდა დადგინდეს მათი რაოდენობრივი საზღვრები (ზღვრული პარამეტრები), რომელთა გადამეტება (ან შეუსრულებლობა) ეწინააღმდეგება ეყუ ინტერესებს და საბოლოო ჯამში ქვეყნის უსაფრთხოების ერთიან სარტყელს არღვევს. ეს პარამეტრები, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით რაოდენობრივად უნდა აფასებდნენ ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობას, ხოლო მათი დამტკიცება ოფიციალურ (საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების) დონეზე უნდა მოხდეს, რის შემდეგაც ისინი მიიღებენ სავალდებულო ნორმის სახეს და მათი შესრულება აუცილებელი გახდება.

რაოდენობრივი ზღვრული პარამეტრების მაგალითებია: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მინიმალური დონე; ინფლაციის ტემპების მაქსიმალურად დასაშვები

ზღვარი; საბაჟო ტარიფების ოპტიმალური სიდიდე; სტრატეგიული რესურსების კონკრეტული სახეების (ბენზინი, ხორბალი, ფქვილი, ღიზელის საწვავი და ა.შ.) მინიმალური მარაგები (ტონებში ან დღეებში); ბიუჯეტის დეფიციტის მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი; საგარეო და საშინაო ვალის მაქსიმალური პარამეტრები; სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და ძირითადი ფონდების განახლების ტემპები და ა.შ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევუ უმაღლესი დონე მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც ევუ ინდიკატორების მთელი სისტემა წინასწარ დადგენილ უსაფრთხოების საზღვრებს ანუ ზღვრულ პარამეტრებს (რომლებიც, როგორც წესი, ციფრულ გამოხატულებაშია) არ სცილდება.

კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლების დამუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც მინიმალურად და მაქსიმალურად დასაშვები საზღვრები, ასევე ე.წ. „დერეფანი“.

შეფასების ინდიკატორებისა და პარამეტრების სპეციფიკა ცალკეული ქვეყნების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ევუ შეფასების სისტემა, უპირველესად კი ინდიკატორები და პარამეტრები, მნიშვნელოვნად განსხვავდება ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონიდან, გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან, ერის მენტალიტეტიდან და სხვა - სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე.


ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და განვითარებული ქვეყნებისთვის ევუ ფილოსოფია ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის (ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და სხვ. სფეროებში) მიღწევასა და ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას, ასევე გლობალური საფრთხეების (ტერორიზმი, სტიქიური მოვლენები, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და სხვ.) განეიტრალებას გულისხმობს. ამ ქვეყნებს ევუ არსებული დონის შეფასების ანალოგიური ხედვა აქვთ, თუმცა საკმაოდ განსხვავებულია ევუ უზრუნველყოფის მიღწევის კონკრეტული მეთოდები, ხერხები, გზები და რაც მთავარია - შესაძლებლობები. აშშ წლების მანძილზე ითვლებოდა მსოფლიოს

ლიდერად ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო და ა.შ. სფეროებში. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება, თუ ეეუ შეფასების საკითხებს სწორედ ამ ქვეყნის მაგალითზე გავეცნობით.

აშშ-ის ეეუ შეფასების ძირითადი ინდიკატორები და პარამეტრები აშშ მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად ინსტიტუციური რეფორმები განახორციელა: 1947 წელს მიიღო შესაბამისი კანონი და შექმნა სპეციალური სტრუქტურა - „ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭო“.

შემდგომ პერიოდში ეროვნული უსაფრთხოების, მათ შორის ეეუ, პრობლემების მეცნიერული კვლევა მსოფლიოში კიდევ უფრო გაფართოვდა, თუმცა აშშ ამ მხრივაც ლიდერად რჩებოდა. გამოქვეყნდა ამერიკელი პოლიტოლოგებისა და მეცნიერების მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები (უ. ლიპმანის, ჯ. რენერის რ. კენანის და სხვ.), სადაც განხილული იყო ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები.

გრაფიკი 1.1: აშშ-ის მშპ-ის ზრდის მონაცემები I კვარტლის მიხედვით, 2007-2017 წლები



გრაფიკი 1.1 ნაჩვენებია ამერიკის შეერთებული შტატების მთლიანი შიდაპროდუქტის ცვალებადობის დინამიკა.

შეიძება მკაფიოდ გამოვკვეთოთ ის ფაქტორები რომლებმაც გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინეს აშშ-ის, როგორც ზოგადად ევუ კონცეფციის, ასევე მისი შეფასების სისტემის ფორმირებაზე. კერძოდ:

1. ათწლეულების მანძილზე თავისუფალი საბაზრო სისტემის უნივერსალურობის თეორიის და ეკონომიკური კრიზისების თვითრეგულირების პრინციპების ოფიციალურ სახელმწიფო იდეოლოგიად აღიარებამ;

2. სხვა კონტინენტებიდან უზარმაზარი საზღვაო სივრცით დაცილებამ და ძლიერი აგრესორი მემობლების არყოლამ (რამაც დამპყრობლური ომებისაგან დაიცვა ქვეყანა) ხელი შეუწყო აშშ-ის ადმინისტრაციის გლობალური - ტრანსოკეანური კატეგორიებით აზროვნების ჩამოყალიბებას და მაქსიმალურად დაიცვა ამერიკის საშინაო ბაზარი. ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების უპირველეს კრიტერიუმად მიჩნეულია მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნება.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ამერიკელებისთვის კონკურენტუნარიანობა - უცილობელი პირველობის სინონიმია და მისი არეალი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამჟამად ის მოიცავს არა მარტო სამხედრო პოლიტიკურ და საფინანსო-ეკონომიკურ, არამედ სამეცნიერო-ტექნიკურ, საინფორმაციო, კულტურულ, სპორტულ და ა.შ. სფეროებსაც.

ამ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის და პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ობიექტური ფაქტორების შესწავლის შემდეგ უკვე გასაკვირი არ არის, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია ეკონომიკური უსაფრთხოების მხოლოდ გლობალურ პრიორიტეტებს სახავს და „ღია“ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ევუ შემდეგ ინდიკატორებს ანიჭებს უპირატესობას:

1. მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის განმტკიცება;
2. აშშ-ის შეუფერხებელი გასვლა მსოფლიოს, როგორც სანედლეულო, ასევე გასაღების ბაზრებზე;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გლობალური ეკონომიკური ზრდისათვის ხელშეწყობა.

როგორც ვხედავთ ზემოაღნიშნულ ეწე პრიორიტეტულ ინდიკატორებში ადგილი არ მოიძებნა ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი „წვრილმანი“ საკითხებისათვის, როგორიცაა:

1. ექსტრემალური ვითარებისთვის (ტერაქტი, გლობალური სტიქიური მოვლენები და ა.შ.) დამახასიათებელი საფინანსო-ეკონომიკური, ენერგეტიკული და სასურსათო პრობლემები;
2. კომპანიების გაკოტრება არაკეთილსინდისიერი მენარმეობის მეთოდების გამოყენების გამო და ამის შედეგად წარმოქმნილი პანიკა საფონდო და სავალუტო ბაზრებზე („ენრონის“ და ბერბარ მედოფის „საფინანსო პირამიდა“)
3. გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს „თვითრეგულირებადი“ საბაზრო მექანიზმებისა და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების ეფექტიანობის შესუსტება, რის გამოც ისინი ვერ უზრუნველყოფენ ცალკეული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილებელ დონეს;
4. ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ საკუთარ კორპორატიული ინტერესების სახელმწიფოს ინტერესებზე მალლა დაყენება და ა.შ. ამიტომაც იყო, რომ მრავალწლიანი თეორიული გათვლების, პრაქტიკული გამოცდილების და ასევე მრავალმილიარდიანი ხარჯების მიუხედავად, მსოფლიოს ზესახელმწიფო - აშშ უსუსური აღმოჩნდა ტერორისტების წინაშე. ტერაქტის შემდგომ თითქმის ორი კვირის მანძილზე აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურები და კერძო სექტორი პანიკასა და ქაოსში იმყოფებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ ფაქტიურად მოუმზადებელი აღმოჩნდა ტერაქტების შედეგად წარმოქმნილი საშინაო და საგარეო ეკონომიკური საფრთხეების ოპერატიულად

გადაწყვეტისთვის.

აშშ-ის ადმინისტრაცია და ამერიკელი ექსპერტები შორს იყვნენ იმ აზრისგან, რომ ოდესმე მშვიდობიან პერიოდში სურსათითა და პირველადი მოხმარების საქონლით ვაჭრობის ნორმირება მოუხდებოდათ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში.

აშშ-ის ადმინისტრაციის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა ეკონომიკური უსაფრთხოების იმ საკითხებს, რომლებიც ამერიკელთა აზრით მხოლოდ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი.

აშშ-დან პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის იმპულსები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელდა და, სამწუხაროდ, არც ევროპისა და აზიის სახელმწიფოები აღმოჩნდნენ მზად ამგვარი ეკონომიკური საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ტერაქტებმა მძლავრი უარყოფითი მუხტი მისცა მსოფლიოს გლობალურ ეკონომიკურ განვითარებას. კიდევ უფრო გაღრმავდა ეკონომიკური კრიზისი ცალკეულ ქვეყნებსა და დარგებში

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებმა გლობალურ ურთიერთობებში ახალ ფენომენს - საერთაშორისო ეკონომიკურ ტერორიზმს მისცეს დასაბამი.

ამ მოვლენების შედეგად ტერაქტების ორგანიზატორებმა საკუთარი ტერორისტული მიზნების გარდა, უდიდეს ფინანსური მოგებას მიღწიეს აქციების, ძვირფასი ლითონებისა და ვალუტის სპეკულაციით.

ამიტომ, XXI საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ შეიძლება იქცეს გლობალური ეკონომიკური ტერორიზმი და ტრანსნაციონალური კორპორაციების არაკეთილსინდისიერი ბიზნესის შედეგად საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პროვოცირება.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღეისათვის კერძო პირებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების ხელში არსებული ფინანსური, ინტელექტუალური და ტექნიკური

რესურსები საფასურით საკმარისია საფონდო, სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე პანიკის („მართვადი ქაოსის“) შესაქმნელად, მაშინ გასაგებია, თუ რა საშიშროების წინაშე დგას კაცობრიობა, თუმცა ამ დროს გამორიცხული არ არის შემთხვევითობაც.

ამ რეალური საფრთხის გასააზრებლად ერთ მაგალითს მოვიყვანო.

2010 წლის 5 მაისს აშშ საფონდო ბაზრებმა 15 წუთში ერთი ტრილიონი დოლარი დაკარგეს. რამდენიმე წუთში ზოგიერთი კომპანიის აქციები 60-100%-ით გაუფასურდა. „დოუ-ჯონსის“ ინდექსი თითქმის 1000 პუნქტით დაეცა, რაც ამ საფონდო ინდექსის არსებობის ისტორიაში ერთდროული დაცემის რეკორდი იყო. პანიკამ მოიცვა ევროპისა და აზიის საფონდო ბაზრებიც. საფონდო ექსპერტების აზრით, ამ ქაოსის მიზეზი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საფინანსო ჯგუფის “Citigroup”-ის რიგით ტირეიდერის მექანიკური.

შეცდომა იყო, რომელმაც ელექტრონული ვაჭრობის დროს 16 მილიონი დოლარის ნაცვლად 16 მილიარდი დოლარის ფიჭერსების გაყიდვის ბრძანება გასცა (სიჩქარეში „ბილლიონ“ და „მილლიონ“ შეეშალა).


მომავალშიც არავინაა დაზღვეული მსგავსი შეცდომებისგან, ამიტომ შემთხვევითი ან „მართვადი“ საფონდო პანიკის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ამგვარი საფრთხეების გასანიტრალელებელი საერთაშორისო მექანიზმების შექმნა.

3.3 საქართველოს ეროვნული ბანკის როლი საფინანსო სისტემის სტაბილურობაში

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი პირდაპირ აისახება გლობალური თვალსაზრისით ქვეყნის ეკონომიკასა და მის შემადგენელ ბაზარზე მოქმედ მსხვილ მოთამაშე საერთაშორისო კომპანიებზე. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ და

გამოვეყნეთ მრავალი ფაქტორი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის რომელმაც გავლენა იქონია ჩვენს ქვეყანაზე . საქართველოს მკროეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მსოფლიო რუკაზე პატარა ადგილი უკავია რომელზეც პირადირ აისახება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა.

იმპორტ-ექსპორტი (2003-11)




8

ცხრილში ასახულია 2003 -2011 წლებში ექსპორტ იპორტის დინამიკა რაც ცხადყოფს ქვეყნის იმპორტის სიმიცრეს ექსპორტთან იმართბაში .

ქვეყნის ბაზრის დიდ წილს იპორტი იკავებს პირდაპირ კავშირშია სავალუტო კრიზისი ბოლო წლების განმავლობაი გვახსოვს არაერთი მაგალითი როგორ იქონია გავლენა ქართულ კომპანიებზე აღნიშნულმა რომლებიც გაკოტრების პირას მიიყვანა მეზობელ

ქვეყნებში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის ფედერაციაში ნავთობის ფასების ვარდნა აზერბაიჯანში მომხდარი სვალუტო კრიზისი თურქული ლირის გაუფასურება და სხვა



დიაგრამაზე ნაჩვენებია ინფლაციის დონე წლების მიხედვით აზერბაიჯანში და გაცვლითი კურსი აზერბაიჯანული მანათის დოლართან მიმართებაში.

აღნიშნულმა განაპირობა ბევრი კომპანიის გაკოტრების პირას მიყვანა .


მსოფლიოში მიმდინარე კრიზისულ მდგომარეობას რაც ზემოთ ვახსენე თან ერთვის სხვადასხვა მსხილი კომპანიების აქციების ფასის კლება დოლარის გამყარება თითქმის ყველა ვალუტასთან განსაკუთრებით ევროსთან.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინესტიციების კლებამ საბანკო სექტორშიც გამოიწვია რყევები ამას თან დაერთო ქვეყნის არასტაბილური სამხედრო გეოპოლიტიკური კრიზისი რომელმაც გამოიწვია საკრედიტო

რესურსების შემცირება და კაპიტალის გადინება აღნიშნულმა დაზარალა თი ბი სი ბანკი რომელმაც აღნიშნულთან გამკლავება შეძლო დამატებით ახალი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით .აქედან გამომდინარე კრიზისი შეიძლება გამომდინარეობდეს ქვეყანაში პოლიტიკური რყევების შეუქცევლად გავისხსენოთ ახლო წარსულში განვითარებული მოვლენები თიბისი ბანკის მიმართ გამოხატული აგრესია სახელმწიფოს მხრიდან რომელმაც მნიშვნელოვნად დააზარალა და შელახა ბანკის იმიჯი რომელიც არის ერთ ერთი მოწინავე ფინანსური ინსტიტუტი საქართველოს ბაზარზე რომელსაც საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი წილი უკავია . დავარდა , თითქმის განახვევრდა თიბისის აქციების ფასი საფონდო ბირჟაზე მაშინ როცა თიბისი ბანკის აქციების შეღის 250 ინდექსში. ეროვნული ბანკის ჩართულობა ფუნდანეტურად მნიშვნელოვანია შეამუსბუქოს რა ის რყევები და ბიძგები რომელიც გამონწვეულია მსოფლიო კრიზისით მეტიც დაძლიოს . როგორც უკვე აღინიშნა, მსოფლიო ფინანსური ბაზრების ღრმა ურთიერთკავშირების გამო, აშშ-ში დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა საბოლოო ჯამში პრაქტიკულად მთელი მსოფლიო მოიცვა. რა თქმა უნდა, კრიზისის გავლენამ საქართველომდეც მოაღწია; თუმცა, საქართველოს ეკონომიკაზე (და მათ შორის მის ფინანსურ ბაზარზეც) 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომმა ბევრად უფრო დიდი გავლენა მოახდინა. ამდენად, საკმაოდ რთულია ამ ორი კრიზისული მოვლენის შედეგების ერთმანეთისგან განცალკევება; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინანსური სექტორის შედარებით სუსტი განვითარებისა და მსოფლიო ფინანსურ ქსელში ნაკლები ჩართულობის გავლენა, კრიზისის უშუალო გავლენა საქართველოზე მინიმალური იყო. მეორეს მხრივ, ფინანსურ სექტორში განვითარებულმა კრიზისმა გამოიწვია კრიზისი რეალურ სექტორშიც, რაც საქართველოსთვის, როგორც მცირე ღია ეკონომიკისთვის, ბევრად უფრო საზიანო იყო. პირველ რიგში ეს ეხება საერთაშორისო ვაჭრობის არხებს – გლობალური კრიზისის შედეგად საერთაშორისო ბაზრებზე მნიშვნელოვნად დაეცა ფასები ლითონებსა და მადნებზე, რამაც, იმის

გათვალისწინებით, რომ მადნები, ლითონშენადნობები და ლითონის ჯართი იმ პერიოდში საქართველოს ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საქართველოს საექსპორტო შემოსავლებს. ეროვნული ბანკის ჩარევა კრიზისის დროს მნიშვნელოვანია არსებობს ბერკეტები რომელსაც იყენებს ეროვნული ბანკი, გამკაცრებული საფასო პოლიტიკა, რეზერვები, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება ფასიანი ქაღალდების ემისია და სხვა.

უცხოური ვალუტის რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)



დასკვნა

თანამედროვე კრიზისის შინაარსს, ყველაზე ობიექტურად ალბათ ჩინური დამწერლობის სიმბოლოები გამოხატავენ. ჩინურად სიტყვა კრიზისი გამოისახება ორი იეროგლიფით „საშიშროება“ და „შესაძლებლობა“. ზოგი იფიქრებს, რომ ეს იეროგლიფი იკითხება როგორც „საშიშროების შესაძლებლობა“, თუმცა, კრიზისი უკვე დამდგარი საშიშროებაა და არა ჯერ კიდევ შესაძლებელი.

ამ იეროგლიფის ნამდვილ ასოციაციურ მნიშვნელობას ყველაზე კარგად ალბათ თვით ჩინელები ხვდებიან: მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე, არსებული გლობალური კრიზისი მას არსებითად ვერ დააზარალებს. პირიქით, კვლევითი ცენტრების უმეტესობა ამტკიცებს, რომ ჩინური ეკონომიკის შეუქცევადი ზრდის ტენდენცია 2030 წლამდე გაგრძელდება. ჩინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ისინი მსოფლიო კრიზისის გარეშეც აპირებდნენ, რომ ჩინეთის ეკონომიკის მთავარ სტიმულატორად შინაგანი მოთხოვნის ზრდა გამოეყენებინათ. ჩინეთის მთავრობამ გამოჰყო 530 მლრდ დოლარი, რაც გზების და პორტების მშენებლობაზე დაიხარჯა. როგორც ჩანს, ჩინელები ზემოთაღნიშნულ იეროგლიფს აღიქვამენ როგორც მონოდებას: „არ შეგეშინდეს შესაძლებლობის“...

კრიზისის გაღრმავების მიზეზი უმეტესად ხომ შიშია და არა იმდენად სხვა ობიექტური ფაქტორები. თუმცა, კრიზისის გამომწვევი სულ სხვა გრძნობაა - ეს არის უსაფუძვლო იმედი, რომელიც მხოლოდ ზოგადი დადებითი ტენდენციებითაა გაღვივებული და არანაირად არ არის განმტკიცებული რეალური გათვლებით.

იმისათვის, რომ უსაფუძვლო იმედებისა და შიშების გამო ზედმეტი არ დაგვარგოთ, ჯერ კარგად უნდა გავერკვიოთ კრიზისის აღმოცენების ელემენტარულ ანატომიაში. რატომ ხდება ბაზრის ჯერ „გაბერვა“ და შემდეგ მისი უცაბედი „გასკდომა“?

ამის მიზეზია ის, რომ მოსახლეობის ერთ ჯგუფში აღმოცენებულ შემოსავლების ზრდაზე უფრო მეტი მწარმოებელი რეაგირებს, ვიდრე ამის ათვისება ამ მოთხოვნას შეუძლია. შემოსავლების ზრდის მიზეზი კი ძირითადად სახელმწიფო დანახარჯებია. XXე

საუკუნის დასაწყისში პრეზიდენტმა უ. ტაფტმა განაცხადა, რომ ამერიკის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის დოლარი. მას შემდეგ ამერიკის მთავრობა სახელმწიფო ხარჯების ეკონომიაზე მაინცდამაინც არ ზრუნავდა და გულუხვად ბეჭდავდა დოლარებს - ეს თავიდან ამერიკის ეკონომიკისთვის სასარგებლო იყო, რადგან ინდუსტრიალიზაციის გარიჟრაჟზე ეკონომიკას ბევრი ფული სჭირდებოდა. მაგრამ 20-იანი წლების ბოლოს აღმოჩნდა, რომ ამერიკელი მწარმოებლები უფრო მეტ საქონელს აწარმოებდნენ, ვიდრე ხელფასებს უხდიდნენ მუშებს. შესაბამისად აღმოცენდა „ჭარბწარმოების კრიზისი“. ამ მოვლენამ გააძლიერა მარქსიზმის პოპულარობა. კომუნისტები ამტკიცებდნენ: „აი ხომ ხედავთ, კაპიტალისტები იმდენ ზედმეტ ღირებულებას ითვსებენ, რომ მუშებს საარსებო საშუალებებსაც არ უტოვებენ, მიუხედავად იმისა, ეს საშუალებები ფიზიკურად არისო“. და მართლაც, საწყობებში მილიონობით წყვილი ახალი ფეხსაცმელი ინახებოდა, ნახევარი ამერიკა კი ფეხშიშველი დადიოდა. ფერმერები რძეს მდინარეებში ღვრიდნენ, ამერიკელი ბავშვების უმეტესობას კი რძე ენატრებოდა. ასე რომ, ეს იყო არა თვით წარმოების კრიზისი (დეფიციტი), არამედ შემოსავლების გადანაწილების უაზრო სისტემის კრახი.

პრეზიდენტმა ტ. რუზველტმა კაპიტალისტთა მიერ გაძარცვულ მუშებს „დაუბრუნა“ შემოსავლები, მაგრამ არა საჩუქრად, არამედ სახელმწიფო ელექტროსადგურების და გზების მშენებლობებში მონაწილეობის საფასურად. ამგვარად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ცალკეუად აისახება საერთაშორისო კომპანიებზე, რომელთაც მუდმივად უწევთ ფიქრი და სიახლეების ძიება ამ გლობალურ კრიზისთან საბრძოლველი ბერკეტების მოძიებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის სასიცოცხლო ციკლის შენარჩუნებას. ლიბერალიზაცია ამცირებს კონკურენციის შემლუდვებს, გლობალიზაცია კი ზრდის მისი მოქმედების ველს. როგორც უკანასკნელმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ლათინურ ამერიკაში, რუსეთში, რომელიც ასევე შეეხო მსოფლიოს უკლებლივ ყველა ბაზარს, მსოფლიო მეურნეობის ახალი მდგომარეობა ნიშნავს არა

მხოლოდ პოზიტიური, არამედ ნეგატიური ტენდენციების გლობალიზაციასაც. ამის გაცნობიერება აიძულებს მსოფლიო ფინანსურ ინსტიტუტებს გადაარჩინონ სამხრეთ კორეის, სიანგანის, ბრაზილიის, ინდონეზიის, რუსეთის ბაზრები. მაგრამ ეს ერთჯერადი ოპერაციები მხოლოდ გამოკვეთავენ წინააღმდეგობებს ლიბერალური გლობალიზაციის სარგებელსა და მსოფლიო მეურნეობის სიმყარის შენარჩუნების ფასს შორის. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მკაფიოდ გამოავლინა გლობალური ფინანსური ინსტიტუტების სისუსტე და მათი ფუნქციების არაეფექტურობა. ეს, პირველ რიგში, ვლინდება, მათდამი საზოგადოების ნდობის დაკარგვასა და მათ უუნარობაში ადეკვატურად მოახდინონ რეაგირება მსოფლიოს ახალ გამოწვევებზე. აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს (სსფ) და მსოფლიო ბანკს არ შესწევთ უნარი თავიდან აიცილონ არა თუ გლობალური, არამედ, სხვადასხვა ქვეყანაში განვითარებული ლოკალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისებიც კი

საყურადღებოა, რომ დღევანდელმა მსოფლიო კრიზისმა ეჭვქვეშ დააყენა არა მხოლოდ დღემდე შემუშავებული ეკონომიკური და ფინანსური თეორიები, არამედ, გამოავლინა პრაქტიკული ანტიკრიზისული ბერკეტების უსუსურობა სიტუაციის დარეგულირებაში. მსოფლიო ფინანსური სისტემა შევიდა ღრმა დისბალანსის პერიოდში, ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო სათანადო წინააღმდეგობა გაენია მსოფლიო ფინანსური ბაზრების წამლევავი ტალღისათვის. პრინციპი - „ბაზარი ყოველთვის მართალია“ - საფუძველშივე მცდარია, Laissez-faire ისტორიას ჩაბარდა და სახელმწიფო რეგულირებად კაპიტალიზმზე უნდა გადავიდეს. აშშ-ში განვითარებული იპოთეკური დავალიანების კრიზისის სხვადასხვა ფაზებზე ჩვენ ვხედავთ საფინანსო ინსტიტუტებისადმი მთავრობის დამოკიდებულების არსებით შეცვლას. ამრიგად მსოფლიო ფინანსური კრიზისი რომელიც თავისმხრივ მოქმედებს ყველა საერთაშორისო კომპანიასა თუ ინსტიტუტზე არის შეუქცევადი რყევა რომელსაც დამანგრეველი ზიანის მოტანა შეუძლია გლობალური თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. “ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია”. თბილისი. 2005, გვ.155.
2. ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომების კრებული, თბ., 2010 გვ. 123.
3. ასათიანი რ. მცდარი მონეტარული პოსტულატები და საქართველო ილუზიების ტყვეობაში. "შრომები", IV ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., გამომცემლობა "სიახლე", 2004.
4. ასათიანი რ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის მენსტრები. უერთნალი სოციალური ეკონომიკა. სპეც.№1. თბილისი. 2011, გვ.45.
5. ადვიშვილი გ. და ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია. თბილისი: საგამომცემლო ფირმა "სიახლე", 1998.
6. აშშ-ს ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ოფიციალური საიტი - www.bea.gov
7. ბანკების ზარალმა ტრილიონს გადააჭარბა, გაზეთი „ეკონომიკური პალიტრა“, 22-28/XII-2008 წ.
8. ბიზნესის საფუძვლები - <http://www.scribd.com/doc/116061091/>
9. გოგობია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004 გვ. 15.
10. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა - “უკვდავი” იდეა. ექსპერტის აზრი, №2. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2007.

11. მთავრობამ აღიარა, რომ საქართველოს ეკონომიკა კრიზისშია, გაზეთი "ბანკები და ფინანსები", 23-29/XII, 2008წ.
12. ომის შემდგომი საქართველო განვითარების ახალი მოდელის ძიებაში. 2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა. თბილისი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, 2009.
13. პაპავა ვლადიმერ. "ფინანსური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირე-ბის საფრთხე". წიგნში: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული II. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009. 156
14. პავლიაშვილი ს. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო. ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა" №1. თბილისი, 2011, გვ.31.
15. სტიგლიცი ჯ. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება. თბილისი: გამომცემლობა საუნჯე 2012. გვ.8-33.
16. საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია "გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს" ფარგლებში. თბ., თებერვალი, 2009.
17. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, კვარტალური მიმოხილვა, ოქტომბერი, 2008წ, გვ. 66.
18. საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სტატისტიკური კრებულები, ენციკლოპედიები და საინფორმაციო-ანალიტიკური საიტები.
(<http://www.gm.com>, <http://ms.com>,<http://www.gatesfoundation.org>, <http://www.boeing.com>, <http://www.ibm.com/us/en>, UTX agreed to acquire General Electric Co.'s (GE) electronic security systems and fire safety operations for \$1.82 billion).
19. საქართველოს სტატისტიკურ მონაცემთა ინტერნეტ ბაზა: www.statistics.ge.

20. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი: www.nbg.gov.ge
21. საქართველოს პარლამენტი: <http://www.parlament.ge/info/Georgia-Information.html>.
22. “უცხოური ინვესტიციები შემცირდა”, Civil.Ge, 18 ივნისი, 2009. ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=21390>.
23. ჭითანავა ნ. გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ –ეკონომიკური განვითარების პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომების კრებული, თბ. 2010, გვ. 88.
24. 2008-2011 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე სახელმძღვანელო, თბილისი, 2007წ.
25. Aris Ben “How Many Bankrupt Banks does it Take to Make a Crisis?”. bne – businessneweurope, August, 2009. p.13.
26. Akhmeteli, Nina, “Will the American Economic Crisis Hit Georgia?”, Investor.ge, Issue 2, April, 2008, available from: http://www.investor.ge/issues/2008_2/01.htm.
27. Connolly Richard. “The Structure of Russian Industrial Exports in Comparative Perspective”. Eurasian Geography and Economics, Vol. 49, No. 5, 2008. pp. 586-603.
28. “Consumer Price Indices”. Federal State Statistics Service, 2009, http://www.gks.ru/bgd/regl/b09_06/IssWWW.exe/Stg/3/15-01.htm.
29. James Joiner. UN Agency proposes dollar alternative. Atlantic Council, 08.09.2009, http://www.acus.org/new_atlanticist/un-proposes-dollaralternative.
30. Апевалова Елена и Александр Равыгин. “Банкротства в двухтысячные годы: от инструмента рейдеров к политике «двойного стандарта»”. Экономическая политика, № 4, 2009. с.109-110.117. http://www.iet.ru/files/text/policy/2009_4/apevalova-radygin.pdf.
31. Анатомия кризисов. Отв. редактор В. М. Котляков. М., Наука, 1999. с. 31.
32. Блант Максим: Финансовый Кризис, 2009 г.
33. Булатов Александр. “Сходство и различия экономического кризиса в США

34. <https://www.bartleby.com/essay/Problems-and-Challenges-Faced-by-Multinational-Corporations-Mncs-F3TD6JAX73GEY>
35. <https://www.ukessays.com/essays/business/issues-faced-by-the-multinational-companies-business-essay>.